ეროვნული ბიბლიოთეკა




სამოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 21 მაისი 21 1900 № 21

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Кваліи“.

**შინაარსი:** პრესა ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.— ,,კვალი‘‘-ს კორესპონდენციები.—ინგლის-ტრანსვაალის ომი.—თავად-აზნაურთა საქმეები.—მსოფლიო გამოფენა პარიჟში (გაგრძელება) ლ. დ—სა.—ჯავახეთი და ჯავახელნი ი. გომართელისა.—ბეჭდვითი სიტყვის მოყვარულთადმი ის. კვიცარიძისა.—შეცდომის გასწორება.

# პრესა

## VI

### ახალი კითხვები.

როგორც მეექვსე წერილში (№ 16) განვმარტეთ, გაზეთმა „ივერიამ“ ხელთ იგდო ქართული პრესის მონოპოლია მთელი შვიდი წლის განმავლობაში. ამით მას მიეცა ფართო და უცილო ასპარეზი თავისი აზრების საქადაგებლათ. და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ მთელ ამ დროს „ივერიის“ მუშაკნი გულმოდგინეთ ღაღადებენ იმას, რაც „ივერიის“ პატრონმა მას ჟამსა შინა შეიმუშავა და კვირის თუ თვის „ივერიაში“ გამოაფინა. თ. ი. ჭავჭავაძემ, მოიპოვა რა შემთხვევით პრესის ბატონობა, მოინდომა ამ განსაკუთრებითი უფლებით ხელშეუხებლათ სარგებლობა. ქართული ერთათ ერთი ორგანო მან გახადა მხოლოთ თავისი პირადი აზრების ორგანოთ და სასტიკათ დევნიდა სხვანაირ აზრებს და შეხედულობებს. ის რომ თავისუფალი აზროვნების მოტრფიალე ყოფილიყო, შეჰქველია იტყოდა: რაკი ამის მეტი ორგანო არა აქვს ქართველობას, დეე, ეს იყოს ქართველთა აზროვნების თავისუფალი სარბიელი, სადაც აზრთა შეჯახებისაგან ჭეშმარიტება ირკვეოდესო, მარა არა, ეს თავისუფლების პრინციპი უარჰყო და დაადგა პრინციპს დესპოტობისას, ვინც ჩემებრ არ ფიქრობს, განვედით „ივერიიდანო“, ხოლო „ივერიიდან“ გასვლა ნიშნავდა საზოგადოთ პრესიდან გასვლას, ე. ი. სრულს დამუნჯებას. და აი, ეს შვიდი წელიწადი არის ხანა ჩვენი გონებრივი დაუძლურების და გზა-კვალის აბნევის. და რომ ეს ასე იყო—ეს იქიდან ჩანს, რომ აღორძინების ხანა იწყება ,,ივერიის‘‘ მონოპოლიის გარღვევით და ახალი ორგანოების დაარსებით. 1893 წ. გამოვიდა ,,კვალი‘‘[1]), 1894 წ. ,,მოამბე‘‘.

---

[1]) „კვალი“ პირველათ გამოვიდა როგორც „ჯეჯილის“ დამატება და პროგრამაც ვიწრო ჰქონდა. ის პროგრამით უფრო მოზრდილთა საკითხავი ორგანო იყო და უმთავრესათ პედაგოგიური წერილები და მოგზაურობა [illegible] ყოფილიყო

[illegible] საჯარო ბიბლიოთეკა

რა ნაირი ხასიათი უნდა მისცემოდა ,,კვალს''? რა კავშირი უნდა დაეჭირა ,,ივერიასთან''?

რაკი ,,ივერია'' იყო გაბატონებული ორგანო და აზროვნების მონოპოლიის ჩემობდა, ცხადია ახალი ორგანო ამ ბატონობას უნდა შებრძოლებოდა და მისი მონოპოლია დაეცა. ,,კვალიც'' სწორეთ ამ გზას დაადგა. პირველ ყოვლისა, ის შეიქნა ორგანოთ ქართველი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც ,,ივერიას'' არ ეთანხმებოდა. ,,კვალში'' თავი მოიყარეს ოპოზიციონურ ელემენტებმა. ეს ელემენტები თავისი მიმართულებით და შეხედულობებით ერთი მეორისაგან განირჩეოდენ და ეს სხვანაირათ არც კი შეიძლებოდა. ,,ივერია'' დევნიდა ყველა თავის მოწინააღმდეგეთ, რა მიმართულებისაც უნდა ყოფილიყვენ ისინი. მაშასადამე, ყველა ამ დევნილთ აერთებდა ,,ივერიასთან" ბრძოლა. და აი ,,კვალის'' რედაქცია ამათ უცხადებს: მოდით და თქვით რაც სათქმელი გაქვთო. ამით ,,კვალი'' ხელათ გადაიქცა ოპოზიციურ გაზეთათ.

მეორე მხრით, ეს ოპოზიციონისტები, როგორც ვთქვით, სხვა-და-სხვა მიმართულების იყვენ. მაშასადამე, ამათი ,,კვალში'' შეჯახება და ჭეშმარიტების ძიება აუცილებლათ უნდა მომხდარიყო. და აი, ,,კვალიც'' შეიქნა აზრის აღებ-მიცემობის და ბჭობის თავისუფალ სარბიელათ. ამ ბჭობაში, რასაკვირველია, მიმართულება უფრო მკვიდრი და საფუძვლიანი საბოლოოთ გაიმარჯვებდა და „კვალში" გაბატონდებოდა. მარა სანამდის ასე იქნებოდა, მანამდის საჭირო იყო ყველას წარმოეთქვა თავისი შეხედულობები და საზოგადოებისთვის გაეცნო. ამ წარმოთქმის, გაცნობის და დავის გაზეთია ,,კვალი''.

ამ სახით, ოპოზიციონისტობა და აზრის თავისუფლება—აი რა დროშით გამოვიდა ,,კვალი'' საზოგადოებაში.

პირველი კითხვა, რომლის გამო ეს ორი ორგანო ერთმანეთს დაეტაკენ იყო კითხვა სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ. ,,ივერია'', როგორც ვიცით, თანამედროვე ერის ბურჯათ აღიარებდა მეურნეობას, ხოლო მეურნეობის ბურჯათ სამეურნეო სწავლა-ცოდნას. ამისათვის ის გამოვიდა კლასიკური განათლების წინააღმდეგათ და სამეურნეოს მომხრეთ. და, რადგანაც თფილისის სათ.-აზნ. სასწავლებელი კლასიკური სასწავლებელია, ,,ივერიაც'' შეუდგა მისი სამეურნეო სასწავლებლათ გადაკეთების ქადაგებას. ამას ავრცელებდა ის მთელ შვიდ წელიწადს და ეგევე წარმოთქვა მან 1893 წ. და შემდეგაც. აი მაგ. რა თქვა თ. ი. ჭავჭავაძემ 1893 წ. კახეთში თავად-აზნაურთა შეკრებილებაში:

„თფილისის სათ.-აზნაურო სკოლისაგან, როცა დაარსდა, მომეტებულს სარგებლობას ელოდენ, ვიდრე გამოცდილებამ დაგვანახვა. ახლა ცხადათ ვხედავთ რომ დიდძალი ფული იხარჯება ამ სკოლაზედ და სამაგიეროთ ცოტა რამ სარგებლობა მოაქვს. მიაქციეს ამ გარმოებას ყურადღება და ქართველობა ორ ნაწილათ გაიყო: ერთი ნაწილი ამბობს, რომ ჩვენ გვესაჭიროებიან უმაღლესათ განათლებული კაცნი, არა გვყავს კარგი ტეხნიკები, ექიმები, ინჟინერები, მასწავლებლებიო. ამისათვის საჭიროა ჩვენ შვილებს გიმნაზიური განათლება მივსცეთ და უნივერსიტეტებში გავგზავნოთ. გიმნაზიაში შესასვლელათ კიდევ საჭიროა ჩვენის შვილების მომზადება, ამისათვის მოსამზადებელ სკოლათ უნდა იყოს სათავად-აზნაურო სკოლაო. მეორე ნაწილი ამბობს: ჩვენ ჯერ პური არა გვაქვს საკმარისი ბეღელში, ჯერ პური გავიმრავლოთ და მერე უნივერსიტეტის სწავლით აღვფრთოვანდეთო. ქვეყანამ ისწავლა მიწის შემუშავება, შეიმსუბუქა შრომა, ჩვენ კი ისეთს საშუალებას ვხმარობთ მიწის შესამუშავებლათ, როგორსაც ხმარობდენ 1000 წლის წინათ. მიწას ძალღონე გამოელია და ჩვენ კი ამას ყურადღებას არ ვაქცევთ, არაფერ ღონისძიებას არ ვხმარობთ. ყველამ შეიტყო, როგორ შეიძლება მცირე მიწიდან მცირე შრომით დიდი ნაყოფის მოღება და ჩვენ კი ეს ვერ შევიგენით. ჩვენ არავითარი ცოდნა არა გვაქვს ამ მხრით. ამისათვის საჭიროა ისეთის სკოლების დაარსება, რომლებშიაც ასწავლიან ჩვენ შვილებს როგორ და რანაირათ შეიძლება მცირე შრომით დიდი ნაყოფის მოღება. ამასთანა სკოლებში ნასწავლები ისე ბარგათ აღარ აკიდებიან ოჯახს, როგორც სხვა სკოლებში სწავლა დამთავრებული. რამდენი უნივერსიტეტელი ვიცი, რომ ოჯახის შესანახი გამხდარან. თვითონ მე უნივერსიტეტელი გახლავარ და ხვალ რომ სამსახურიდან გამოვიდე, მშიერი მოვკვდები. რათა? იმიტომ რომ ჩინოვნიკობა მისწავლია და სხვა არაფერი. ჩემთვის რომ მიწის შემუშავება ესწავლებინათ, ჩინოვნიკადაც გამოვდგებოდი და უჩინოვნიკობოდაც მშიერი არ ვიქნებოდი... სათავად-აზნაურო სკოლას, რაც დაარსებულა, ორმოცი ათასი თუმანი მოხმარებია თავად-აზნაურობისა. ეს ნახევარ-მილიონის ოდენა ფული რომ სამეურნეო სკოლებზე დაგვეხარჯნა ახლა ათასობით გვეყოლებოდა მეურნენი". („ივერია" № 127. 93 წ.)

ერთი სიტყვით, არც ტეხნიკები გვინდა და არც ინჟენერები თუ ექიმები, გვინდა მხოლოთ

---

შიგ. ამიტომ ძალიან ბევრ კითხვებზე ხმას ვერ იღებდა და ძალაუნებურათ დუმდა. ამისათვის, ხშირათ იძულებული იყვენ დღიური კითხვა ზღაპრულ ქერქში გამოეხვიათ და ისე გამოეთქვათ თავისი აზრი. იხ. მაგ. გ. წერეთლის საგულისხმო ზღაპარი „თავიჭამიები" (1893 წ. № 24, 25, 27 და სხ.), სადაც დასურათებულია ბანკის ბელადთა საქმეები. პროგრამა სრული მიანიჭეს მხოლოთ 1896 წ. და მით გადაიქცა დამოუკიდებელ ორგანოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნენიო—ამბობს თ. ი. ჭავჭავაძე და ამას ალაპარაკებიებდა თავის გაზეთსაც.

,,კვალი'' თავის მეორე ნომერშივე ამხედრდა ამის წინაალმდეგ და ერთ თავის წერილს ამ საგანზე ასე ათავებს:

„რას ეგვანება, რომ ეს ერთი უსაჭიროესი იარაღთაგანი ჩვენის წარმატებისა ჩვენივე ხელით მოვსპოთ და სწორი გზა ჩვენი ბუნების შესაფერი შევიკრათ უმაღლეს განათლებისადმი? ახლანდელს რთულს ცხოვრებაში, როდესაც ყოველ ნაბიჯზედ საჭირონი არიან უმაღლესი სწავლით შეჭურვილნი მამულის შვილნი, რას დაემგზავსება ჩვენი საზოგადოება, თუ დავანგრევთ სწავლისადმი მისაღწევ საფეხურებს და ხახა გამშრალნი დავიწყებთ მაღლა, უფრო ბედნიერებისაკენ ცქერას, თითქოს მოწყალების გამოსათხოვრათ“. (გვ. 10). მეორე ალაგას ვკითხულობთ: „ჩვენ არ ვეთანხმებით იმათ, რომელნიც ამბობენ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ფეხზე დაყენება, მამულების ხელში დაჭერა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა სამეურნეო სასწავლებლებს დავაარსებთ და მათის დახმარებით სწავლულს მეურნეებს მოვფენთ ჩვენ ქვეყანასო. ჩვენ ერთხელაც გვითქვამს და კიდევაც გაგვრით ვიტყვით, რომ მეურნეობა მხოლოდ ერთი დარგია ქვეყნის და ერის წარმატებისათვის!..“ (№ 15. გვ. 6)

ამ კითხვამ დიდი პოლემიკა ასტეხა ,,კვალსა'' და ,,ივერიას'' შორის (იხ. ,,კვალი'' № 8—10, 16, 34. 39, 40 და სხ. ,,ივერია'' № 24, 48 და სხ.) და ბოლოს ,,კვალმა'' თავისი გაიტანა. სათავად-აზნაურო სკოლის კომისიამ 1895 წ. საბოლოოთ უარჰყო ,,ივერიის'' აზრი სკოლის გადაკეთების შესახებ და გადაწყვიტა მისი გიმნაზიათ გადაკეთება. ამის წინაალმდეგაც ამხედრდა ,,ივერიის'' მეთაური, მარა ამ ჟამათ არა როგორც რედაქტორი, არამედ როგორც ბანკირი. ერთ თავის მეთაურ წერილში (№ 282, 1895 წ.) ის იმუქრება, ბანკი ფულს ვერ მოგცემთ და საიდან გინდათ გიმნაზია დაიარსოთო. ,,რა თქმა უნდა, ამბობს ის, გიმნაზია რომ ჩვენი გვქონდეს კარგია, არც ის იქნება ცუდი, რომ ჩვენი უნივერსიტეტები ვიქონიოთ, მაგრამ ამისთანა საქმეების ქვიშაზე აგება (ვითომ და ბანკზე) უგუნურება იქნება... ჩვენი უკანასკნელი დასკვნა ეს არის: ყოველ სურვილს, რაც გინდა სანატრელი იყოს, თუ ბანკის შემოსავლის განაწილებას თხოულობს თავი უნდა დავანებოთ დღეს ჯერ ხანათო...'' აი ,,ივერიის'' გულმტკივნეულობა სათავად-აზნაურო სკოლაზე! და რომ მისთვის დაეჯერებიათ, დღეს ეს სკოლა სამარის კარამდის იქნებოდა მისული. მუქარა ,,ივერიისა'' დარჩა მუქარათ, სკოლა გადაკეთდა სრულ გიმნაზიათ, ბანკი ფულსაც ყოველ წლივ აძლევს და საცაა საკუთარი შენობაც ექნება. და ეს ყველა, წინაალმდეგ ,,ივერიის'' ხანგრძლივი ქადაგებისა და მუქა[illegible] რა ახირებული მოღვაწენი გახლავან ,,ივერიელნი''. ყველაფერი კეთდება წინაალმდეგ მათი სურვილისა და ბოლოს მაინც ისინი ჩემობენ, ჩვენ ვმუშაობთო!

ასე თუ ისე, ,,კვალი'' პირდაპირ წინაალმდეგია ,,ივერიის'' სათ.-აზნ. სკოლის საქმეში და კიდევაც გაიმარჯვა. ამ ერთ კითხვაში ,,კვალი'' ნათლათ და გარკვეულათ განსხვავდა ,,ივერიისაგან''. სამაგიეროთ, დანარჩენ კითხვებში განსხვავება იმდენათ სუსტი და დაუნახავი იყო, რომ ზოგი ორივე ორგანოს ერთ და იმავე მიმართულებისათ აღიარებენ:

„ნეტაი მაცოდინა, წერს ბ. გრ. ვოლსკი საგრამატიკო პოლემიკის გამო, რა სხვა და სხვა მოძღვრების და მიმართულების და ცხოვრების პროგრამას მისდევს, რა სხვა და სხვა აზრის მქადაგებელია ჩვენს ცხოვრებაში ეს ორი პატივცემული გაზეთი და რა ასეთი მოურიგებელი და ხიდგაუდებელი სხვა და სხვაობა სუფევს მათ შორის, იმათ მომხრეთა და სწავლა მოძღვრების შუა, რომ აღარ ეცოდებათ აღარც მკითხველი და აღარც ქაღალდი“... (,,ივ.'' № 74, 1893 წ.)

და მართლაც, გარდა სათ.-აზნ. სკოლისა და სხვა-და-სხვა წვრილმან საგრამატიკო კითხვისა, ამ წელიწადს ,,კვალს'' და ,,ივერიას'' შორის შესამჩნევ განსხვავებას ვერ ვპოვებთ. ,,კვალშიაც'', როგორც ,,ივერიაში'', ხშირათ აღიარებენ: სოფელია ჩვენი ერთათ ერთი იმედი (№ 8, წერილი ვ. მ—სა), სამეურნეო განათლება (საზოგადო განათლების გარდა) უპირველესი იარაღია წარმოებისა და სხ. ამისთანაები. აქ ვერც ერთი ამათგანი ვერ ხედვენ სამოქალაქო სწავლა-ცოდნას, ე. ი. სავაჭრო და სამრეწველო განათლებას, რაც დღევანდელ ეკონომიურ ცხოვრებაში ყოველ ნაირ სწავლა-ცოდნაზე წინ დგას.[2])

[2]) აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი დიდათ საყურადღებო გარემოება. ჩვეულებრივათ ამბობენ, რომ განსვენებულმა გ. წერეთელმა თავისი საეკონომიო აზრები მაოლოთ სულ ბოლო წლებში შეითვისა და ისიც ახალგაზრდათა გავლენითო (დაახლოებით 1894 წელს შემდეგ). მაგრამ ეს ყოველივე სიმართლეს მოკლებულია, რასაც ამტკიცებს შემდეგი ფაქტი. 1891 წ. საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“ (№ 4—6) მოთავსებულია მისი ზღაპრული მოთხრობა „ღვთის წყალობა“, სადაც ნათლათ დახატულია ის, თუ როგორ დაინგრა ჩვენში ფეოდალურ-პატრიარქალური წყობილება და დამყარდა სამრეწველო-მოქალაქობრივი. აი რანაირათ ასწერს ამ ახალ ცხოვრებას: „ყოველგან ქარხნები მუშაობდა, მაღალ ბუხრიდან ამონადენი კომლი ღრუბლათ იყო ცაზედ გადაკრული. მთელი ეს მხარე რკინის გზებით იყო დაქსელული. მდინარე რურუზე დიდი ცეცხლის გემები გაეჩინათ. უწინდელ ღარიბ სოფლების მაგიერათ, სადაც გაიხედეს, ყოველგან დიდი ქა-

ამასთანავე, ,,კვალში‘‘ ხვდებით ახალ აზრებსაც შესახებ მიმოსვლისა, მრეწველობისა და ვაჭრობისა (№ 2—3 ,,მიმოხილვა‘‘; № 17 ,,ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა‘‘ გ. წერეთლისა; № 17 ,,ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა‘‘ ხომლელისა; № 33 ,,ძველი დავა ახალ-ქალაქში‘‘ ე. ნინოშვილისა [3]) და სხ.) მაგრამ ყველა ეს მხოლოთ ისახება და ძლიერ ბუნდოვანია. ერთი სიტყვით, ამ წლის ,,კვალი‘‘—ეს გარდამავალი ხანის ,,კვალია‘‘, აქ თავმოყრილია როგორც ძველი შეხედულობების („ივერია‘‘) ნაშთნი, ისე ახალი შეხედულობების დასაწყისნი. ამ ორი სხვა-და-სხვა ელემენტით შეზავებული გაზეთი გადადის მეორე წელში.

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ,,ივერიაც“ ვითომ. არ ჩამორჩა დროთა მოთხოვნილებას და 1893 წ. თავის ფურცლებზე ერთი გვარიანი საყურადღებო წერილი მოათავსა ამ სათაურით: ,,მოვალეობა ჩვენი თავად-აზნაურობისა‘‘, ივერიელისა. (№ 20, 22, 23). ამ წერილის სარჩული—დაცვა თავად-აზნაურობის უპირატესობისა—ძველებური, ივერიულია, ხოლო ამას თან დაყოლილი აქვს ზოგი ისეთი აზრები, რომელნიც სრულებით არ ეკარებიან როგორც ამ სარჩულს, ისე მთელ ,,ივერიას‘‘. ეს მხოლოთ იმას გვიმტკიცებს, რომ დრო მეფობს ყველაზე და ძალაუნებურათ გათქმევინებს იმას, რის წინააღმდეგი ხარ სულით და გულით. აი ამ წერილის ზოგი ადგილები:

„იმ დროინდელი ადარა დარჩარა, როცა ჩვენს ქვეყანაში გამეფებული იყო მარტო ოდენ სამეურნეო, სამიწად მომქმედო წარმოება, ნავარავუდევი ადგილობრივი მოსახმარებლათ, ადგილობრივვე ურთიერთ შორის ნაწარმოების გასაცვლელ-გამოსაცვლელათ. ჩვენში ძლიერდება ახალი სამრეწველო წარმოება, დგება ისეთი დრო და ხანა, როცა მამაპაპათაგან ნაანდერძევი წეს-რიგი სამიწად-მომქმედო წარმოებისაც კი სრულიად იცვლება და ისეთს ახალს საფუძველზედ მყარდება, რომელიც უფრო შეეფერ-შეეწონება ჩვენი ცხოვრების ახალ საეკონომიო ვითარებას. ამავე დროს ჩნდება სრულიად ახალი დარგნი მრეწველობისა, იბადება სრულიად ახალი სახისა და ფერის შრომა და გამსჯელობა. ერთი სიტყვით, წარმოება ქვეყნის ქონებისა და დოვლათისა დიდსა და მეტათ საყურადღებო ცვლილებაშია შესული“. (№ 20).

მოსალოდნელი იყო, რომ ამის ავტორი იტყოდა, ამ პროცესის მეთაურია ვაჭარი და მრეწველი ხალხი ანუ ბურჟუაზიაო, მაგრამ ლოღიკას ასცდა და ამბობს: ამ საქმის მეთაურობა ჩვენი ინტელიგენციის დახმარებით თავად-აზნაურობამ უნდა იკისროსო! (№ 23). რაც უნდა იყოს ისიც კარგია, რომ ,,ივერიაში‘‘ აღნიშნეს, თუმცა აქაც ძრიელ ბუნდოვანათ, ის ღრმა ცვლილება, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში წარმოებდა და წარმოებს და რაც ადრე თუ გვიან ნათლათ უნდა გარკვეულიყო. ხოლო ამ გარკვევისა და წინამძღოლობის როლი ,,ივერიას‘‘ ბედმა არ არგუნა.

ამ ნაირათ, ქართულ პრესაში ერთხელ და სამუდამოთ დაირღვა გამეფებული ბალიალობა და ძველ სახელმძღვანელო აზრებს კრიტიკული თვალით შეხედეს. გამოჩნდა, რომ, რაღაც ისე არ უნდა იყოს, როგორც ეს საყოველთაოთ ეგონათ და რაკი აზრი ამ გზაზე დაიძრა, მისი შუაზე გაჩერება ყოვლათ შეუძლებელი გახდა. ეს ძიება და კრიტიკა კიდევ უფრო ძლიერდება 1894 და შემდეგ წლებშიაც და ამის უმთავრესი სარბიელია იგივე „კვალი“. ამ გაზეთში ძველი დახავსებული ელემენტები თან-და-თან ქრება და მის ალაგას ახალი აზროვნება ირკვევა. ამ რკვევას ხელი შეუწყო ჟურნალ ,,მოამბემ‘‘

,,მოამბემ‘‘ თავისი წელთ აღრიცხვა დაიწყო 1894 წლიდან და დაიწყო დიდი რიხით და გაბედულობით. მან გაბედა იმის თქმა, რაც ,,ივერიას‘‘ თავის დღეში არ უთქვამს და ,,კვალმა‘‘ მხოლოთ ის სალაპარაკოთ აღძრა. ის თავის საპროგრამო წერილში აცხადებს სხვათა შორის შემდეგს:

„აწინდელი ერთაშორისი განწყობილება მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ საუკეთესო აზრები და სწავლა-

---

ლაქები მოჩანდა. ხალხი მშვენივრათ ჩაცმულ-დახურული ზოგი ქარხნებში მუშაობდა, ზოგს მინდვრებში ორთქლის გუთნები ჰქონდათ გაბმული, ზოგს წყლის პირად მოჰქონდა საქონელი და გემებს ტვირთავდა უცხო ქვეყანაში საქონლის გასაგზავნათ ერთი სიტყვით, მთელი ეს კუთხე დუღდა და გადმოდიოდა სიმდიდრით. არავინ არ იჯდა აქ უქმათ, ყველა მუშაობდა, ყველა საქმეში იყო“. (№ 5 გვ. 15) აი ამ აზრის იყო გ. წერეთელი ჩვენი ქვეყნის მომავლის შესახებ, მაგრამ საკვირველია რომ თავის პუბლიცისტურ წერილებში ამის ახე პირდაპირ თქმას უფრთხილდებოდა, განსაკუთრებით „კვალის“ დაარსების პირველ წლებში. უეჭველია ეს იმიტომ, რომ კარგათ იცოდა ჩვენი „გაივერიელებული“ საზოგადოების ამბავი და მომზადებულ მკითხველს ვერ ხედავდა...

[3]) აი რას წერს ეგ. ნინოშვილი: „იქნება ვინმემ ჩემი სიტყვებიდან ის დასკვნა გამოიყვანოს, რომ თითქო მე ვამბობდე, ვეცადოთ რომ ჩვენს ქვეყანაში ფეხი არ მოიკიდოს კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ მ ა და მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა მ-მეთქი. არა ბატონო, მე ამას არ მოგახსენებ, კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მ დ ი ნ ა რ ე ა, რომ თუნდა კიდეც მოინდომოთ მისი შეჩერება, ვერ შეაყენებთ და უნდა მოგახსენოთ ა რ ც ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ა მისი შეყენება, არა თუ საქართველოსთვის, არც ქვეყნისთვის“ გვ. 11.

ცოდნა ადვილად საშინელის სისწრაფით ვრცელდება მთელ ქვეყანაზე ყველა ერთა შორის, არამედ იმაში, რომ სხვა და სხვა ერთა შორის საშინელი ბრძოლაა გამართული ეკონომიურს ნიადაგზე, ბრძოლა უთოფოდ და უხმლოდ. აქ გამარჯვება იმისია ვინც უფრო ბლომათ და უკეთეს ნაწარმოებს გამოიტანს ქვეყნიერების ბაზარში, ვინც ამ ნიადაგზე დამარცხდება, იგი ისეთივე მონა იქნება გამარჯვებულისა, როგორც იყო ძველად ხმალით დაპყრობილი. ჩვენი მწერლობის მოვალეობა არის, რომ ჩვენი ერის ეკონომიური მდგომარეობა გამოიკვლიოს, გამოაშკარავოს ყოველივე ნაკლი ამ მდგომარეობისა და უჩვენოს ერს გზა წარმატებისა... ჩვენის ბედის, ჩვენის მომავლის იმედი დამოკიდებულია მხოლოდ ქართველი ერის იმ ნაწილზე, რომელიც ამ სარბიელზე (ეკონომიურზე) გამოიჩენს თავს... მართალია, ქართველი ერი განსაკუთრებით მიწის მომქმედი ერია და ამიტომაც ჩვენც განსაკუთრებით ყურადღებას მივაქცევთ სოფლის მეურნეობას, მის ავს და კარგს, მაგრამ იმ აზრს კი ვერ დავეთანხმებით, რომ ქართველი ერი რადგან დღემდის სოფლათ დარჩენილა და მარტო მიწის მუშაობას ეტანება, ვითომ კვლავაც მხოლოდ მიწის მომქმედათ უნდა დარჩეს და ვითომ საჭირო არ იყოს, რომ მან ხელი მიჰყოს ვაჭრობას, მრეწველობას და სხვა და სხვა ხელობას... ჩვენი აზრით, ქართველი ერი ვერ დარჩება და არ უნდა დარჩეს მხოლოთ სოფლათ და მიწის მომქმედათ; იგი ქალაქშიაც უნდა დამკვიდრდეს, უნდა მიჰყოს ხელი ყოველსავე იმ საქმეს, რასაც ეტანებიან სხვებიც“. (გვ. 105—106).

აქედან ცხადია, რომ ჟურნალი თუმცა მეურნეობას უმთავრეს ყურადღების ღირსათ აღიარებს, მაგრამ მას გვერდში ქალაქს, აღებ-მიცემობას და მრეწველობასაც უყენებს და ქართველობას აქეთკენ უთითებს. მას, რასაკვირველია, ნათლათ არ აქვს წარმოდგენილი როლი მოქალაქეობისა დღევანდელ ცხოვრებაში, ის ამბობს ყველაფერი საჭიროაო და ამათ შორის მოქალაქეობაცო და ესეც დიდი ღვთის წყალობაა ,,გაივერიელებულ'' საზოგადოებაში. ამ ,,ყველაფრის'' თეორიას (მეცნიერებაში ,,ეკლეკტიზმათ'' წოდებულს) სავსებით ეთანხმებიან ჟურნალის სულის ჩამდგმელის ბ. ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილები. ბ. ნიკოლაძე 1879 წლიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთობას გაშორდა და მხოლოთ 1894 წ. მოიბრუნა პირი ,,მოამბის'' საშუალებით. ამ 16 წლის განმავლობაში მან ქართულათ მხოლოთ ერთათ ერთი სტატია დაბეჭდა ,,შრომაში'' (1882 წ.) და მთელ თავის ძალღონეს რუსულ პრესას ანდომებდა. მან, რასაკვირველია, საკმაო ცვლილებები განიცადა, ძველი ,,გატაცებანი'' უკუ აგდო და ,,მოამბეში'' ჩვენ მას გადახალისებულს, ,,საამდროვოთ'' გადაკეთებულს ვხედავთ. მაგრამ რაც უნდა იყოს მის ნაწერებს მაინც ახლავს სიჭაბუკის რიხი, თუმცა წინანდელ პირდაპირობას მოკლებულია. იმან „მოამბეში“ დაიწყო ერთხელ მის მიერ ათვალწუნებული ბანკის და ბანკის გამგეობის ქებათაქებით, (№ 2) თავად-აზნაურობის ცალკე გამოყოფით და მისი განცალკევების განმტკიცებით (№ 5, გვ. 145—146; № 9 წერილი ,,აზნაურობას რა უშველის'') და ათავებს ბურჟუაზიის ქებით და კაპიტალისტური წარმოების საჭიროებით. აი რას ამბობს ის ამ უკანასკნელი საგნის შესახებ:

„მრეწველობის უქონლობა ცხადია უდიდესი ნიშანია ქვეყნის ჩამოქვეითების და უკან ჩამორჩენის. ამ ქვეყნის ბედში არავითარი ცვლილება არ მოხდება თვალსაჩენი, არც გონებრივი, არც საზოგადო, არც პოლიტიკური მხრივ, სანამ ის, მრეწველობის საშუალებით (ხაზგასმული ავტორისაა) ეკონომიურ მონებისაგან არ დაიხსნის თავს უცხოეთის ხელიდან. აიღეთ რომელიც გსურდეთ იმ ერის ისტორია, ყოველგან ცხადათ დაინახავთ, რომ მისი აღორძინება, მისი გონებრივი სიფხიზლე, მისი განვითარება, აღებ-მიცემობა მრეწველობის ზედდართული შედეგი და ნაყოფი ყოფილა. თვით ისეთი ქვეყანა რომ გავიხსენოთ, რომელიც ნიადაგ პოლიტიკურათ დამოუკიდებელი, თავისუფალი ყოფილა მაგ. ჩერნოგორია, იმისი მდგომარეობაც აგვიხსნის, რომ ეს თავისუფლება ნამდვილი მონობაა: პოლიტიკურად მთავრის მონაა, და ეკონომიურათ უცხოეთის მრეწველობისა. სადაც მრეწველობა არ არსებობს, და სადაც, მაშასადამე, აღებ მიცემობა, ვაჭრობა თან და თან უფრო და უფრო აუძლურებს ხალხს და ქვეყანას, იქ უმეტესი ნაწილი ერისა ნიადაგ დაბალი მუშაა დაწინაურებული უცხოეთისა... სენსიმონი და მისი მოწაფე ოგიუსტ კონტი მთელი კაცობრიობის განვითარების ისტორიას სამ ნაწილად, სამ საფეხურათ ჰყოფენ. მათი სწავლით, ყოველმა ერმა აუცილებლათ შემდეგი სამი სტადია უნდა გაიაროს, ერთი მეორის შემდეგ: მხედრული, მრეწველი და საზოგადოებრივი ვინც იმათ ნაწერებს გადაიკითხავს და მას ჩვენ მდგომარეობას შეადარებს ის დარწმუნდება, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს თავიდან ბოლომდის, კიდის კიდემდე ჯერეც პირველ სტადიას, მხედრულ წეს-წყობილებას ვერ ასცილებია, ვერ გამოსთხოვებია. როცა ევროპა საფუძვლიანად იწუნებს და აუმჯობესებს თავის მრეწველ წყობილებას, იმ აზრით რომ მესამე უმაღლეს სტადიაზე შედგას ფეხი და საზოგადოებრივი წესი გაასწყოს, ჩვენ ისევ ისა გვაქვს სანატრელი და საძიებელი, რომ იქნება როდისმე მხედრული წყობის შემუსვრა და მრეწველობის დაარსება გვეღირსოს!“ (№ 8, გვ. 128—129).

აი, ასე ეტრფის ბ. ნიკოლაძე მრეწველობას და ეს რომ ყველა თავის ნაწერებში ლოღიკურათ

გაეტარებია, ის მთელ ერს წოდებრივი თვალით არ შეხედავდა და თითოეულ წოდებას მის მისდა ალარ დააყენებდა. მაგრამ, როგორც მეორე ადგილიდან ჩანს, ის მეურნეობას მრეწველობაზე წინ აყენებს და ასე ხან ერთი თვალთა ხედვის ისარს მოიმარჯვებს და ხან მეორეს. აი მისი სიტყვები:

„ყოველი ერის საფუძველი, ძალა, მთავარი უფრო მის მეურნეობაზეა დამყარებული, მის წარმოებლობაზე; სხვა ყველაფერი თითქმის უმნიშვნელოა მასთან შედარებით... ჩვენი მეურნეობის ასამაღლებლათ თუ საშველათ, სხვა საგანი და ძალა არა გვაქვს-რა გარდა ამ ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკისა (თფილისის) რომელსაც დღეის იქით იმედია დიდათ შეეძლება ეს დიდი სამსახური გაუწიოს ქვეყანას“. (№ 6, გვ. 170).

აი აქ კი ბ. ნიკოლაძე სრულ „ივერიულათ“ ლაპარაკობს. ცხადია ის მთლათ ერთიანათ ვერც ძველებურ აზროვნებას მოშორებია და ვერც ახალი შეუთვისებია. და ასე, ამ ორ სკამზე ზის ყველა თავის წერილებში და მით თვით „მოამბეც“ ორ სკამზე დარჩა. ამ ორჭოფულმა მდგომარეობამ გამოიწვია იმავე წელს „კვალის“ კრიტიკა და ამით ამ გაზეთმაც ბევრი ახალი რამ გაარკვია.

ამ სახით „მოამბეც“ ისე როგორც „კვალი“ ორ—ძველ და ახალ—აზრებს შუა ტრიალებდა, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი ცდილობდა განთავისუფლებულიყო ძველისაგან და ერთიანათ ახალზე დამდგარიყო, ხოლო პირველი კი არა თუ განთავისუფლდა, არამედ ნიკოლაძის წასვლით ის ერთიანათ ძველმა გადააქანა და ,,ივერიის‘‘ წინ დაახოქა. ამ ჟამათ, ის ,,ივერიის განყოფილებაა და მეტი არაფერი. ამიტომ მისი განვითარების ისტორია უკან დახევის ისტორიაა, რის გამოკვლევას ჩვენ აქ არ შევუდგებით.[4])

,,კვალის‘‘ ისტორია კი, წინაალმდეგ ,,მოამბის‘‘ ისტორიისა, წარმოადგენს თანდათან მსვლელობას განახლებისაკენ. თითოეული წელი მის მიერ გავლილი არის თითო ნაბიჯი ამ მიზნისაკენ გადადგმული. ის ყოველთვის დიდი ალტაცებით მიეგებებოდა ახალგაზდა ავტორთა ნაწარმოებს და თავის ფურცლებს უთმობდა. ამიტომ 1894, 1895 და შემდეგ წლებში ,,კვალში‘‘ ვხედავთ სრულიად ახალ მწერლებს, რომელნიც ეს არის ასპარეზზე გამოსულან და ჩვენი ცხოვრების კვლევა-ძიებას შედგომიან. აქ ისინი წერენ და მსჯელობენ სრულიად თავისუფლათ, ხშირათ შეეტაკებიან ერთმანეთსაც, იმართება კამათი როგორც ,.კვალის‘‘ თანამშრომელთა შორის, ისე ,,კვალის‘‘ და სხვა ორგანოებთა შორის. ,კვალის‘‘ რედაქცია ,,ივერიის‘‘ რედაქციასავით ლაგამს არ უდებს თავის მწერალთ, ის ძალას არ ატანს, აი ეს ასე თქვი და ის ისეო, პირ აქით, ის მსჯელობის სრულ თავისუფლებას ალიარებს და ისეთსავე უფლებას ანიჭებს თანამშრომლებს, როგორიც თვითონ აქვს. და აი, ამაში მდგომარეობს საისტორიო ღვაწლი ,,კვალის‘‘ პატრონთა.[5]) ,,კვალის‘‘ თითქმის ყველა თანამშრომელები ერთდებოდენ იმაში, რომ საეკონომიო კითხვები ჩვენი ქვეყნის ძირითადი კითხვებია და კაპიტალისტური წარმოება ჩვენშიაც სწრაფათ მკვიდრდებაო. ამ აზრმა (განსაკუთრებით უკანასკნელმა), გამოიწვია წინაალმდეგობა ,,მოამბისა‘‘ და ,,ივერიის‘‘ მხრით. აი რას წერდა ამის შესახებ ბ. ნა - ლი , მოამბეში‘‘ (1894 წ. № 10, გვ. 126—127).

„განა შესაწყნარებელია ის აზრი, ვითომ ჩვენში კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს, იმ ქვეყანაში, რომელიც იმაზე ცოტა მეტს ნაწარმოებს იძლევა, რაც მისს მკვიდრთ საკვებათ ყოფნის და რაც მოწევისთანავე იხარჯება. მაგ. სიმინდს იძლევა და დიდ-ძალი ნაწილი ამ ნაწარმოებისა იქვე იხარჯება; ღვინოზედაც იგივე უნდა ითქვას. განა კაპიტალისტური წეს-წყობილებაა იქ, სადა ბუნების სიმდიდრე დედამიწის გულში ხელუხლებელათ ძევს იმიტომ, რომ საკუთარი კაპიტალები არა გვაქვს, დედამიწას რომ გული გავახსნევინოთ და უცხოელებს შევცქეროთ ხელში... ნუ თუ ჩვენში კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს, როცა ქარხნები და ფაბრიკები არა გვაქვს და არც ერთ წარმოებაში მაშინებს არ ვხმარობთ და მცირეოდენ რასმე თუ მოვიყვანთ ხოლმე შინაობაში სახმარებელზე მომეტებულს, ისიც იმ სახით, რა სახითაც ბუნებას ჩვენთვის მოუცია, უცხოელებს თითქმის მუქთათ უნდა დავუთმოთ?.. ვიმეორებთ, მესამე დასის წარმომადგენელთ არც ჩვენის ცხოვრების ხასიათი აქვთ გაცნობილი, არც ევროპისა და მაშასადამე არც ის

[4]) ნიკოლაძემ თავი დაანება „მოამბეს“ 1895 წ. მეოთხე ნომრიდან და მით სული გამოეცალა ჟურნალს. ამ წლის პირველ ნომერში მოთავსებულია ნიკოლაძის საყურადღებო წერილი პრესაზე და პარტიობაზე. საზოგადოთ, „შინაური მიმოხილვა“ ჟურნალიდან თანდათან ქრება და იქცევა უბრალო „სბორნიკათ“. მაგ. 1895 წ. სულ არის ოთხი შინაური მიმოხილვა; 1896 წ. კი მხოლოთ ორი და ასე კოჭლობით მიდის დღევანდლამდე. და ის ასე იქნება მანამდის, სანამ „ივერიის“ გავლენას თავს არ დაალწევს და საკუთარ ფეხზე არ დადგება.

[5]) ბ. ნა—ლი „მოამბეში“ (1895 წ. № 3) და ბ. ლალი „ივერიაში“ (1895 წ. № 16) სრულ სიმართლეს აღიარებდენ, როცა ამტკიცებდენ, რომ „კვალის“ თანამშრომელთა შორის აზრის სხვა-და-სხვაობააო, მაგრამ ამას ისინი ნაკლულევანებათ უთვლიდენ გაზეთს, ნამდვილათ კი ეს იყო მისი ღირსება და აქედან უნდა წარმომდგარიყო ბოლოს ერთი განსაზღვრული მიმართულება.

იციან კაპიტალისტური წეს-წყობილება რა თვისებისა და ბუნებისაა და სანამ ,,ძველ თაოჰაზე'' იერიშს მიიტანდნენ საჭიროა მეცნიერების ანბანი გაიზეპირონ'' და სხ.

ბ. ლალი ,,ივერიაში'' (1895 წ. № 34) რამდენიმეთ იმეორებს ბ ნა—ლს, როცა სწერს:

„ჩვენს ქვეყანაში დღეს კაპიტალისტური წეს-წყობილება არა თუ არ არსებობს. პირიქით, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ხელს უშლის ამ ფორმის დამყარებას... ევროპის ახლანდელი ეკონომიური ფორმა უთუოთ შეიცვლება უფრო სამართლიანის და უფრო ჩინებულის ფორმით. ამ ფორმას ჩვენი ერი შეგნებული ინტელიგენციის დახმარებით ადვილათ შეითვისებს, თუ ქართველთა ცხოვრებაში პოლიტიკურ კალაპოტი გაფართოვდა, რაზედაც უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება. მანამდის კი ჩვენი მეცადინეობა და ეკონომიური მოღვაწეობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ჩვენის დღევანდლის სიმდიდრის და ერთათ ერთი განძის დაცვისათვის და ამ სიმდიდრის წესიერი-მოხმარებით ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის ყოველი ღონის-ძიება ვიხმაროთ. ეს სიმდიდრე მიწაა; ეს განძი რომ ხელიდან არ გაგვეცალოს, საჭიროა ის მოგროვდეს იმათ ხელში, ვისაც მისი მოვლა შეუძლია; საჭიროა მიწამ იმდენი ხეირი მისცეს მამულს, რამდენიც საკმარისია ნივთიერ და სულიერ დღევანდელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ“.

აშკარაა, ბ. ლალისათვის ერთათ ერთი სოფელი და სასოფლო კითხვები (,,გლეხური'') არსებულა და ამით უახლოვდება ,,ივერიის'' პატრონს. ხოლო მას შორდება თავისი იდეალებით, ბ. ლალს სურს მომავალ ევროპიულ წყობილებაში პირდაპირ, უმრეწველოთ და უპროლეტარიატოთ, გადავიდეს, რაც, ახლა თვითონ დაგვეთანხმება უეჭველია, განუხორციელებელი ოცნებაა.

ერთი სიტყვით, ,,კვალში'' აღძრულ კითხვებმა დიდი ალიაქოთი და წინააღმდეგობა გამოიწვია პრესაში.[6]) გაიმართა პოლემიკა და დღეს ყველა ხედავს თუ ცხოვრებამ ვის არგუნა გამარჯვება. რომ ჩვენში კაპიტალიზმი არსებობს და მან შესაფერი მოძრაობაც გამოიწვია—ამას დღეს უარს აღარავინ ჰყოფს.

ამ გვარათ, ,,ივერიის'' მონოპოლიის გარღვევა და ახალი აზრების აღორძინება ერთი იყო საეკონომიო და სამოქალაქო კითხვებმა თანდათან მოიცეს ქართული ჟურნალ-გაზეთობა; საამდროვო იდეები თანდათან ეფინებოდა საზოგადოებას და მოსალოდნელი იყო—ყველა ეს, შემდეგ დიდი დავისა და პოლემიკისა, შეწყნარებულ იქმნებოდა ქართველი მწერლების მიერ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ძველმა მწერლებმა, შეშინებულმა ,,კვალის'' გაბედული და მოუფერებელი აზრებით, უკან დაიხიეს და თან გაიტაცეს ბევრი ახალგაზდებიც. ამ უკან დახევის ორგანოა, რასაკვირველია, ,,ივერია'', მის ამყოლათ და ზურგის გამმაგრებლათ გახდა ,,მოამბე'', ხოლო ,,კვალმა'' ერთხელ და სამუდამოთ თავი დააღწია თავის პირვანდელ გაურკვევლობას და შედგა განსაზღვრულ გზაზე...

მარა, სანამ ამ გზას გავითვალისწინებდეთ, საჭიროა გარკვევა კიდევ ერთი საჭირ-ბოროტო კითხვისა, სახელდობრ კითხვა უცხო ტომთა შესახებ. ვნახოთ რომელი ორგანო როგორ უყურებდა და უყურებს ამ საგანს.

ნ. ჟორდანია

[6]) იხ. ამის შესახებ: „კვალი“ 1894 წ. № 16, 17, 22, 24, 25, 33, 35. 47; 1‵95 წ. № 6, 8, 9, 11, 20. 21—23, 24, 28, 39, 42; „ივერია“ 1894 წ. № 261, 269; 1895 წ. № 15, 19, 34, 60, 65, 67, 73, 142—148, 209; „მოამბე“ 1894 წ. № 10; 1895 წ. № 3.

## სხვა-და-სხვა ამბები

ორშაბათს, 15 მაისს, თფილისში ჩამობრძანდა მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი მუზაფერედინი და დაჰყო აქ სამ დღეს; ქალაქი გაჩირაღდნებული იყო და ყველგან დიდ ძალი ხალხი უხვდებოდა. მისმა უდიდებულესობამ დაათვალიერა ყველა შესანიშნავი ადგილები და 18-ს საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა საზღვარ-გარეთ.

მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ ამ თვის 28 და 29 მუშტაიდის ბაღში გაიმართება სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგ. სასარგებლოთ.

ამ უკანასკნელ ხანში გავრცელებული ხმები, ვითომ ქიათურაში და ქართლის ზოგ სოფლებში შავი ჭირი გაჩენილიყოს, როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა ტყუილი გამოდგა.

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლათ ამორჩეული თ. დ. ზ. მელიქიშვილი მთავრობას არ დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე, რადგანაც მის კანდიდატათ არავინ არ აურჩევიათ. ამისათვის თავად აზნაურთა საგანგებო კრება უნდა მოხდეს ამ ახლო მომავალში.

თფილისის ქალთა საეპარქიო სამ კლასიანი სასწავლებელი მომავალი სამასწავლებლო წლიდან გადაკეთდება ექვს კლასიან სასწავლებლათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება დაურთავს, რომ ორი წლის განმავლობაში ადგილობრივ შეწირულებანი იკრიბებოდეს თფილისში სახალხო თეატრისათვის შენობის ასაგებათ.

ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობას გასულ საანგარიშო წელს ჰქონებია შემოსავალი 162,728 მ. 66 კ., გასავალი 154,664 მან. 49 კაპ. წმინდა მოგება დარჩენია 8,064 მ. 17 კ. ამხანაგობის კრება მოხდება დღეს, კვირას, სოფ. კუხში.

⁂

17 მაისს გორის მაზრის სოფ. წრომსა და ახალ სოფელში მოსულა საშინელი სეტყვა, რომელსაც სულ მთლათ გაუნადგურებია ახლო-მახლო ქირნახულები. თავ-თავ დასხმული პურის ჯეჯილი ისე ჩაულეწია, რომ თითქო ყანა გაუთიბავთო. სეტყვა მეორე დილამდე ეყარა თურმე მინდორში. საცოდავი სანახავები არიან ყანის მეპატრონე გლეხები, გულ-ხელ დაკრეფილნი თავს დასტირიან თავის ნაშრომ წლის სარჩოს მთლათ განადგურებულსო, გვიამბო იქიდან ჩამოსულმა.

⁂

ჭიათურიდან გვატყობინებენ: 18 ამ თვეს, 4 საათზე. აქ ცეცხლისაგან გადაიწვა ოთხმოც დუქნამდე. ზარალი დიდია, კაცის მსხვერპლი არ არის.

⁂

ოზურგეთიდან გვწერენ: 5 მაისს ნოტარიუსმა დაამტკიცა ახლათ დაარსებული ამხანაგობა სახელწოდებით ,,შრომა და კაპიტალი''. ამხანაგობის მიზანია, საჭირო სანოვაგე იაფ-ფასათ მიაწოდოს გურიის მკვიდრთ და აგრეთვე ადგილობრივ სხვადა-სხვა ნაწარმოებსაც კარგი ბაზარი მიუპოვოს სხვა ქალაქებში. პაი ღირს 30 მან.. ფულის შეტანა შეიძლება ერთათ და ნაწილათაც. მაგ,, ახალ წევრს შეუძლია პირველათ მარტო 3 მან. შეიტანოს და შემდეგ კი ყოველ თვეში თითო მანეთი—პაის შესრულებამდე. ამ ჟამათ ამხანაგობას ასამდე წევრი ჰყავს; უმრავლესობა მათგანი ოზურგეთის ახალგაზდა ნოქრები და ხელოსნებია. იმედია, რაკი ამხანაგობა დამტკიცდა, წევრთა რიცხვი ერთი ხუთათ მოიმატებს. ამხანაგობის გამგეთ წევრთა უკანასკნელ კრებაზე ერთხმათ ამორჩეულ იქმნა ბ-ნი სამსონ ვაშაყმაძე, რომელიც, იმედია, თავისი მეცადინეობით, ამ ნორჩ ამხანაგობის საქმეს ურყეველ ნიადაგზე დააყენებს.

---

## ,,კვალის'' კორესპონდენციები

ჭიათურა. რადგან სიკვდილი მუშათა შორის მეტათ გახშირდა, ხმა გავრცელდა ვითომ ჭიათურაში შავი ჭირი, ან სახადი მძვინვარებდეს; ამ ხმამ მთავრობის ყურამდეც მიაღწია, მთავრობამ ფიცხელი განკარგულება მოახდინა: ჯერ შორაპნის მაზრის ექიმი გამოგზავნა სენის გამოსაცნობათ და ზომების მისაღებათ, ახლა ორი ექიმი და რამდენიმე ფერშლები კიდევ მოუმატეს სენის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ერთი ამ ექიმთაგანი საგანგებოთ არის გამოგზავნილი თფილისის ბაქტერიოლოგიურ სადგურიდან, რომელსაც აქვს მინდობილობა ბაქტერიოლოგიურათ სენის გამოკვლევა. ჯერ არავითარი გადამდები სენის კვალი არ აღმოუჩენიათ; რამდენიმე მიცვალებულთა გვამები გაშინჯეს ანატომიურათ და ყველანი გაცივებისაგან შემდგარი ფილტვების ანთებით იყვნენ მკვდარი.

თვით ჭიათურა წარმოადგენს ქვაბის მსგავს მდებარეობას, რომელსაც რუსები котловина-ს უწოდებენ; სულ სიგრძე ერთ ვერსს არ აღემატება და სიგანე რამდენიმე ათეულ საჟენს, ამ სივრცეზე მოთავსებულია ხუთი ათასზე მეტი სული ადამიანი და ათი ათასამდე პირუტყვები. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია თუ რათ არის აქ ხშირი ავათმყოფობა და სიკვდილი. ამას დაუმატეთ მუშების უბინაობა, შიმშილობა და უსუფთაობა და ცხადათ წარმოგიდგებათ სენის გავრცელების მიზეზიც.

ამ დღეებში აქ ბრძანდებოდა ქ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ღენერალ-მაიორი გერშელმანი, რომელმაც დაათვალიერა ბაზრის ახლო მდებარე თავლები. იმედია ბ. გუბერნატორი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ჭიათურის უსუფთაო მდგომარეობას. აქაური ქსენონის შენობა შეაკეთეს, საწოლების რიცხვი 15-დე გაათვართოვეს, ახლა ქსენონი ჯეროვახათ არის მოწყობილი, თუ უწინდებურათ უყურადღებობა და დაუდევრობა არ გამოიჩინეს მისმა გამგებლებმა.

დადგა თუ არა გაზაფხული მრავალი მუშახელი მოაწყდა ჭიათურას. უმრავლესობა მუშებისა უცხო ქვეყნიდან მოდიან (ოსმალეთიდან და სპარსეთიდან). მუშების რიცხვთა გამრავლებამ დაბადა მათ შორის კონკურენცია, რამაც გამოიწვია ხელფასის დაკლება, ამას კი მწარმოებლები სიხარულით ეგებებიან. თუმცა ჩვენი ქართველი მწარმოებელი სიტყვით ქართველის მოყვარულია, მარა საქმე კი სხვას გვიჩვენებს, ისინი ოსმალო მუშებს უფრო ეტანებიან ვინემ ქართველებს. უმეტესი ნაწილი გვირაბებში მომუშავენი ოსმალები და ბერძნებია, დანარჩენი კი ოსები. ქართველს კი აქ სულ მცირე ნაწილი უჭირავს; ჩალვადართა უმრავლესობა კი სპარსელებია. საზოგადოთ ქართველი მუშა არ ჯერდება იმ ქირას, რასაც ოსმალოები იღებენ. მაგ. თუ ოსმალო მუშა სამ აბაზს იღებს დღიურ ქირას, იმავე სამუშავარზე ქართველ-მუშას ოთხი აბაზი უნდა მისცეს მწარმოებელმა. ამის მიზეზი ის არის, რომ ქართველი მუშა უფრო შეგნებულია და მეტი მოთხოვნილება აქვს; ხოლო ოსმალო მუშას მოთხოვნილებაც მცირე აქვს და შეგნებითაც დაბალ საფეხურზე დგას, მწარმოებელი კი იაფ ხელს უფრო ეტანება. იმას ვინ იტყვის რომ ქართველს ქართველი არ უყვარდეს, მარა ისიც ცხადია რომ ქართველ მწარმოებელს ქართველი მუშა ისე კი არ უყვარს, როგორც ერთი პოეტი ამბობს: „არ გაგიცვლი ერთ ქართველში რომ მიბოძო ოსმალეთიო“, არა, მას იმდენათ უყვარს ქართველი მუშა, რამდენათაც ის მისი ჯიბის

ეროვნული ბიბლიოთეკა



აფრიკის ბუნებიდან. ლომი და ჟირაფი.

სასარგებლოა: აი როგორ ქარწყლდება ძველებური მამაშვილური სიყვარული!!

საყურადღებოა ისიც რომ აქაური მწარმოებლები პირუტყვს (ცხენს, ჯორს და სხ.) უფრო უვლიან და აფასებენ, ვინემ ადამიანს, ეს იმიტომ რომ პირუტყვი სრულ მის საკუთრებას შეადგენს, ხოლო მუშის ძალას კი დღიურათ ან თვიურათ ყიდულობენ. თუ მუშა გახდა ავათ—ამით მწარმოებელი არას ჰკარგავს, ავათმყოფი მუშის მაგიერ სხვა მუშას ქირაობს ბაზარში, რომელთა რიცხვი უთვალავია. სულ სხვა არის ცხენი ან სხვა პირუტყვი. როგორც ზევით ვთქვი ის მის სრულ საკუთრებას შეადგენს, მისი ძალა ნაყიდი აქვს სამუდამოთ და მით ფულს იგებს. თუ პირუტყვი მოუკვდა—იზარალებს და ზარალი ხომ მის დავთარში არ წერია. ამიტომ პირუტყვი თუ ავათ გახდა პატრონები არავითარ საშუალებას არ აკლებენ ოღონდ ჩქარა განკურნონ. ამ საზოგადო კანონში ერთათ ერთი მაგალითი ვიცი რომ მწარმოებელი მუშისთვის ექიმთან გარბოდა. ერთ დილას შემხვდა ერთი ჩემი ნაცნობი და ჩემ კითხვაზე თუ რა ამბავია, მან მიპასუხა: „მუშა გამიხდა ავათ, მინდა ექიმი წავუყვანო და თუ ¢ცი ბინა მასწავლეო“. ეს შემთხვევა, ცოტა არ იყოს, მეუცხოვა და გამოვკითხე ვინაობა მუშისა. აი რა მითხრა: „იმ მუშას მივეცი ფული წინდაწინ და გავურიგდი გვირაბიდან ქვა უნდა გამოეტანა, ახლა ავათ გახდა და თუ მოკვდა ფული დამეკარგებაო“. და თანაც გაბმეორებით მთხოვა: „თუ კაცი ხარ, მიშველე რამე, მასწავლე ექიმის ბინაო“.

აქაური.

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ინგლისის მხედრობა უკვე გადავიდა მდინარე ვაალზე და შევიდა ტრანსვაალში. ამის შესახებ რობერტსი ასე იუწყება: „14 მაისს დილით გადავედით ვაალსა და დავბანაკდით მდინარის ჩრდილოეთით. ჩვენი სამი კაცია დაჭრილი და ორიც დაკარგული“. 16 მაისის დეპეშა იუწყება, რომ რობერტსი 18 მილის მანძილზე იმყოფება იოანესბურგიდან. ბურებმა სიმაგრეები გააკეთეს ბევრ ადგილას, მაგრამ როცა კი უახლოვდებოდენ ინგლისელები, ტოვებდენ სიმაგრეებს. 17 მაისს რობერტსი იუწყება: ჩვენ მოვედით გერმისტონში, არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ჩვენ ვიმყოფებით ახლა ისეთ ალაგას, რომელიც აერთებს იოანესბურგს და პრეტორიას ნატალთან. ამბობენ, რომ იოანესბურგში მშვიდობიანობაა, არც ერთი მადანი დანგრეული არ არის; ხვალ მოვთხოვ კამენდანტს ქალაქის გადმოცემას. თუ წინააღმდეგობა არ გაგვიწიეს, ხვალ შუადღისას ჯარებით შევალთ იოანესბურგშიო“. რაკი იოანესბურგი აღებულ იქნება, პრეტორიაც ჩქარა დამორჩილდება და ამით ომიც დასრულდება.—ორანჟეს რესპუბლიკის ინგლისთან შემოერთება უკვე გამოცხადდა. ამის შესახებ პრაკლამაცია წაკითხულ იქნა სახალხოთ თვით ბლუმფონტენის მოედანზე. რესპუბლიკას დღეიდან ეწოდება „ორანჟეს მდინარის ახალშენი“. პრეტორიის აღების შემდეგ ასეთი ბედი მოელის ტრანსვაალსაც.—რა მართვა-გამგეობას შემოიღებს იქ ინგლისი? ამის შესახებ აი რა უთქვამს ინგლისის მთავარ-მინისტრს სოლისბიურის ერთ ბანკეტზე: „ჩვენ არ ვიქნებით უშიშარ მდგომარეობაში მანამდის, სანამდის ორივე ქვეყანას, ნამდვილ დამოუკიდებელი მართველობის თუნდაც მცირე ნაწილს არ მივანიჭებთ. მაგრამ ამასთანავე, ჩვენი მოვალეობაა, დავიცვათ ადგილობრივი მკვიდრნი (შავკანიანები) და დაუმყაროთ წესი და მშვიდობიანობაო“.

## თავად-აზნაურთა საქმეები.

იმერეთის თავად-აზნაურთა წლევანდელ კრებაზე ერთი მეტათ საყურადღებო კითხვა აღიძრა, რაიცა ნათელ ჰყოფს შეძლებული თავად-აზნაურობის შეხედულობას შეუძლო თავად-აზნაურობაზე[1]). ეს კითხვაა შემდეგი: შევამციროთ თუ არა ქონებრივი ცენზი კრების წევრთა მისადებათო. როგორც მოგეხსენებათ, თავად-აზნაურთა კრებაში ხმა აქვს მხოლოთ იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ეკუთვნით არა ნაკლებ 200 დესიატინა მიწა, აქვთ ჩინი და მიუღიათ საშუალო ან მაღალი განათლება. მაშასადამე, აზნაურს შეუძლია უმაღლესი სასწავლებელი გაათავოს, სახელოვანი მოაზრე გინდ მოღვაწე იყოს, მთელი ქვეყნისთვის სასახელო კაცი შეიქნეს, მარა თუ მას 200 დესიატინა მიწა არა აქვს—თავად-აზნაურთა კრებაში ხმა არ ექნება. და ასეთები ხომ ბევრია, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც შეძლებულნი ასე ნაკლებათ ეტანებიან განათლებას, ხოლო ღარიბნი კი ასე ეტრფიან. მაშასადამე, თავად-აზნაურობის პირდაპირი ინტერესი უნდა იყოს ეს ახალი ძალები გარს შემოიკრიბოს, ხმა და გავლენა მისცეს, რომ მით თავისი რამდენიმეთ შეძველებული აგებულება თანდათან განაახლოს. გაახალგაზდაოს და საზოგადო კითხვებსაც უფრო შეგნებულათ და მხნეთ შეხედოს. უეჭველია, ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ბ. ს. ხუნდაძე, როცა კრებას თხოვდა: განათლებულ თავად-აზნაურთ მოეთხოვოს ქონებრივი ცენზი მხოლოთ 20 დესიატინის, ჩინოვნიკობას და სხვებს 30 დესიატინისო. მერე როგორ შეხედეს ამ წინადადებას? თითქმის ყველა მოლაპარაკე წინააღმდეგი იყო ჩინოვნიკთათვის ცენზის შემცირებისა. დავა გამოიწვია, განსაკუთრებით განათლებულთა ცენზის კითხვამ. აქ ერთათ ერთმა ბ. ლ. ლოლუამ განაცხადა, რომ განათლებულთათ-

[1]) ვხელმძღვანელობთ „ცნობის ფურცელში“ (13 და 14 მაისის) დაბეჭდილი კრების ანგარიშით.

ვის არავითარი ცენზი არ არის საჭირო და პირდაპირ მივუშვათ კრებაშიო. ამის წინააღმდეგ ამხედრდა თ. კიტა აბაშიძე, რომელმაც განაცხადა: „უმაღლეს-ს განათლებით (საშუალო განათლება გამოურიცხავს! აღჭურვილთ ცენზი შეუმცირონ მარტო 50 ან 100 დესიატინით და სხვა კი ისე დარჩესო“. ქ. ი. ჭკუა-გონება საკმარისი არ არის საქმეების გადასაწყვეტათ, საჭიროა კიდევ ქონებაო! ხოლო თ. ნ. თავდგირიძემ სრულებით საჭიროთ არ სცნო ცენზის შემცირება, მან თქვა: „თავად-აზნაურთა მაზრის კრებას თვით მიეცეს უფლება თავისი კეთილი წევრები თავისი არჩევნებით ცნოს ღირსათ გუბერნიის კრებაში მონაწილეობის მიღებისაო“. ქ. ი. ცენზი როგორც არის ისე იყოს, ხოლო ახალი წევრების მიღება ისევ ჩვენ მოგვანდევითო! აი ასე შეხედეს ამ კითხვას ორმა განათლებულმა ახალგაზდა თავადმა, რომელნიც არა ერთხელ გვეფიცებოდენ, რომ „კვალს“ არ სჯერა, თვარა ჩვენ დიდი დემოკრატები ვართო! ამიერიდან მაინც ყველა გაიგებს იმას, თუ როგორ დაამდაბლეს ამ ვაჟბატონებმა განათლება და მის ალაგას სიმდიდრე აამაღლეს.

რაკი, განათლებულებმა ასე აბუჩათ აიგდეს განათლება, რაღა გასაკვირველია სხვებს ის სრულიად უარი ეყო. აი რა თქვა თ. დ. ნიჟარაძემ:

„აქ წარმოდგენილის წინადადებით დიდის ოჯახისა და გვარიშვილების უფლებებს ეხებიან. ჩვენ ცენზის შემცირება კი არა, მომატება უნდა ვითხოვოთ, იმიტომ რომ ცენზი რომ მოუკლოთ, ისეთი აზნაურები შემოგვერევიან, რომელთაც, როგორც გამოცდილებამ დაგვარწმუნა, აგვრიეს, აგვწეწეს და გარყვნილების მორევში შეგვაცურეს. უმაწვილი კაცი ვერავერს გააკეთებს უმიწაწყლოთ, ჩვენ მიწას უნდა მოვუაროთ და იმას მივანიჭოთ უფლება, ვისაც მიწა აქვს (მოწონების ნიშნები“).

ცხადია თ. ნიჟარაძის აზრით, თავად-აზნაურობას უნდა უფროსობდეს მხოლოთ დიდი გვარის და ოჯახის შვილები, სხვები კი უნდა მორჩილობდენ. ეგ ასეც იყო ერთხელ, მაგრამ, უნდა მოვახსენოთ პატივცემულ თავადს, რომ ახლა ასე აღარ არის და მომავალში კიდევ უფრო აღარ იქნება. რაღა დროს აზნაურობის ოპეკაა, როცა გლეხობაც კი თავისუფალია ასეთი, „ოპეკისაგან“. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ უცენზო აზნაურები „გარყვნილების მორევში“ აცურებდენ ცენზიანთ, ეს ერთობ მეტის-მეტი უმართებულო და უსამართლო ლაპარაკია თ. ნიჟარაძის მხრით.

თ. ჯ. დადეშკელიანი კიდევ უფრო შორს წასულა. აი რა წარმოუთქვამს მას:

„ბატონებო, მიწა-წყალი, ადგილ-მამული — ეგ არის არსებითი ნიადაგი, რომელზედაც არის დამყარებული ჩვენის წოდების კეთილ დღეობა და ბედნიერება. თუ ადგილ-მამული აღარ გვექნა, რიღასი თავად-აზნაურობა ვიქმნებით. ამ კრებაში მონაწილეობის მიღებისათვის ინახავს ბევრი საჭირო ას და ორას დესეტინას, — თორემ აქამდის აღარც ის შეგვრჩებოდა, როგორც სხვა გავფლანგეთ. რათა ადგილ-მამულის გაყიდვის სურვილი შევუსუსტოთ ჩვენს თ.-აზნაურობას ცენზის მოკლებას კი ნუ ვითხოვთ, ვითხოვოთ მოუმატონ და ორასი დესეტინიდან ოთხასამდე აიყვანონ (ტაშის ცემა).

ნეტარ არიან მორწმუნენიო — სწორეთ თ. დადეშკელიანზე ითქმის. მამულების გაყიდვას რომ ეს ამაგრებდეს იმერეთის დიდი მამულები ბანკებს არ დარჩებოდა და გასაყიდათ არ გამოვიდოდა. და განა ყველა წევრს თავად-აზნაურობის კრებისას ორასი დესეტინა მიწა აქვს? თ. ალ. ქოჩაკიძემ ახსნა, რომ ბევრი იკეთებს ორას დესეტინის ტყუილ ცენზს, ნამდვილათ-კი, ნაკლები აქვთო. თუკი ეს შესაძლებელია, აშკარაა, კანონის მიერ დადებული ორასი დესეტინა მხოლოთ კანონში დარჩენილა, ნამდვილათ კი კაი ხანია გაუქმებულა. და რადგანაც, რაც დრო მიდის, მამულები მით უფრო პატარავდება. უეჭველია კანონის ასეთი გადახვევა უფრო ხშირი იქნება. და აი სწორეთ თავად-აზნაურობა იყო მოვალე ამ საგნისთვის ასე შეეხედა და ცხოვრების მიერ გამოწვეული კითხვა ცხოვრების თანახმათ გადაეჭრა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კრებამ დიდიხმის უმრავლესობით უარჰყო ცენზის შემცირების ყველა წინადადება. და მით როგორც განათლებული ისე გაუნათლებელი თავად-აზნაურთა დიდი უმრავლესობა თავისი კრების ღირსათ არ იცნო...

## მსოფლიო გამოფენა პარიჟში.

(ერთი თვალის-გადავლებით).

(შ ე მ დ ე გ ი) *)

ვიდრე ჩვენ წერილს განვაგრძობდეთ, მეტი არ იქნება ერთი შენიშვნა. გამოფენა, მართალია, ოფიციალურათ გაიხსნა 14 აპრილს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის მზათ. მთელი გამოფენა მაისის დამლევზე ადრე მაინც ვერ დამთავრდება. ასე რომ, უკეთესი დრო გამოფენაზე წამოსასვლელათ იქნება ივნისი და ივლისი. რაც შეეხება აქ ცხოვრებას, ეს საკმაოთ გაძვირდა. განსაკუთრებით იმატა სახლის ქირამ, 50%-დე ქალაქის განაპირათ. შუა ქალაქში და გამოფენის ახლო კი უკანასკნელი ოთახი 7—8 ფრ. ღირს დღეში. ამის მიზეზი, რასაკვირველია არის ის, რომ პარიჟს მილეთის ხალხი მოაწყდა. გამოფენაზე ყოველ დღე 100 ათასზე მეტი მნახველი შედის. შუა ზაფხულში ეს რიცხვი-გამოცდილთა ანგარიშით 6-ჯერ მაინც იმა-

*) იხ. „კვალი“ № 17.

ტებს *) დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან, ყველას აქ მოუყრია თავი. ჰხედავთ ყველა ეროვნებათა ტანისამოსებს, გესმით ყველა ენაზე ლაპარაკი. პარიჟელის სურვილიც ეს არის, მას შეუძლია ახლა მთელ ქვეყანას გადაუშალოს თავისი სამშობლოს და სატახტო ქალაქის მთელი სიდიადე, ლიტერატურული, არტისტიული, მეცნიერული, თუ საწარმოვო. და პარიჟელიც ეძლევა სიამოვნებას. ის ახლა უფრო თავ-მომწონეთ და მედიდურათ იქცევა. მის სახის გამომეტყველებაში, ყველა იმის მიმოხვრაში კითხულობთ: განა რომ ყოჩაღები ვართ ფრანგები. კომერსანტები დღე მუდამ იგონებენ ახალ-ახალ ოინებს უცხოელთა მოსატყუებლათ. ქუჩებში დააქვთ ჩვეულებრივზე უფრო მეტი განცხადებები, აფიშები, რეკლამები; თითოეული თავისკენ ეპატიჟება სტუმრებს, ენით გამოუთქმელ სიამოვნებას და დაუჯერებელ სიიაფეს პირდება. უცხოელნი აღტაცებულნი არიან ნანახით; იხიბლებიან ყველაფრის სილამაზით, სიკეკლუცით, სინაზით და სიფაქიზით. იმავე დროს კი, ყველა თითქოს ერთგვარი გულნატკენობით უჩივის სიძვირეს და შეშინებული უიმედოთ აქნევს თავს: არა, დიდ ხანს აქ გაჩერება ყოვლად შეუძლებელიაო. მარა, პარიჟში ცხოვრება არც ისე საშიშია, როგორც შეიძლება იფიქროთ. გადამეტებული არ იქნება, რომ დემოკრატიული ცხოვრებისათვის, ორთა შუა რიცხვით, შემდეგი თვიური ბიუჯეტი ვიანგარიშოთ: ოთახი წვრილმანი ხარჯითურთ, 50 ფრ. (1 მანეთი უდრის 2 ფრანკსა და 66 სანტიმს); სასმელ-საჭმელი 90 ფრ. სახლიდან გამოფენამდე წასვლა და უკან დაბრუნება პატარა გემებით 6 ფრ. (ტრამვაითი დ ომნიბუსებით 9 ფ. თუ შორსა ცხოვრობთ, თუნდ ქალაქ გარეთ 18 ფ). გამოფენაზე შესვლა 18 ფრ. (თითო შესვლა 60 სანტ.), ჯიბის ფულათ, თეატრების, კონცერტების და სხვა და სხვა სანახავების სანახავათ 100 ფრ. (თუ ამ ფულს გააორკეცებთ უკეთესი იქნება). სულ 264 ფრ. გზის ხარჯი (ტფილისიდან პარიჟამდის და უკან) 266 ფ. **) მაშასადამე გამოფენის ნახვა (ერთი თვის ვადით) შეიძლება 530 ფრანკათ (=200 მან). ეს იქნება „მინიმუმია", რომლის შემცირებასაც დიდი გოლიათობა დაჭირდებოდა; თუმცა... ვინც, ეგრეთ წოდებულ „სტუდენტურ ცხოვრებას" შეჩვეულია, (თუ შეიძლება შეჩვევა ნახევრათ შიმშილისა და მეექვსე სართულზე სირბილისა) ის ნაკლებათაც მოახერხებს. აქ არის ორი იაფ-ფასიანი სასადილო, სადაც 80—90 სანტიმათ შეგიძლიათ იქონიოთ წვენი, შემწვარი და ტკბილეული (დესერტი). პორციები კი ისეა გამოზომილი, განსაკუთრებით ერთ სასადილოში, რომ რამდენიც უნდა მიირთვათ, მაინც მეექვსე სართულზე სუბუქათ აირბენთ და ჩამოირბენთ. არსებობს აგრეთვე სხვა და სხვა კომპანიები, რომელნიც კისრულობენ გამოფენის სტუმრების, როგორც მგზავრობას, ისე აქ ცხოვრებას. მარა მათი დახმარებით გზა თუ იაფი ჯდება, სამაგიეროთ მათი ულუფა კი (ბინა, სასმელ-საჭმელი) — რაც სავალდებულოა — საკმაოთ ძვირია. მაგ. ერთი კვირით 116 ფრ.; ორი კვირით 160 ფრ. ახლა გავაგრძოთ გამოფენის დათვალიერება.

გამოფენის ერთი უდიდესი და უმთავრესი ნაწილია ის, რომელიც მოთავსებულია ესრეთ წოდებულ მარსის მოედანზე. მეორე მეტათ საინტერესო ნაწილი იმყოფება ტროკადეროზე. გადავხედოთ ჯერ უკანასკნელს, რადგან ეს რამოდენათმე უკვე მზათ არის.

ტროკადერო დევს მდ. სენის მარჯვენა ნაპირზე, იენას ხიდთან, ეიფელის კოშკის პირდაპირ. აქ მოთავსებულია, როგორც საფრანგეთის, ისე სხვა სახელმწიფოების კოლონიალური გამოფენა. აგრეთვე გამოფენა იმ ქვეყნების, რომელთაც თავისი ექსპონატები ვერ დასტიეს სხვა სექციებში (ნაწილებში). ტროკადეროს შესანიშნავი მონუმენტი (ძეგლი), რომლის კალთებსაც თითქო შეჰფარებია მსოფლიო გამოფენის აღნიშნული ნაწილი, არის ერთი მეტათ უზარმაზარი. აღმოსავლეთის სტილზე აშენებული სასახლე. ფასადი წარმოადგენს როტონდას ირგვლივ ნაშენ გალერეიებს. ორივე მხარეზე ოთხ-კუთხი ბურჯებია გუმბათებით. სასახლის წინ ტერრასებით გაკეთებულია დიდი აუზი. მის ყველა კუთხეებიდან სცემენ შადრევნები. მიდამო მორთულია მობიბინე ბუჩქებით და ყვავილებით, შემკულია ქანდაკებებით. სასახლის მოაჯირზე მოჩანს ექვსი ქანდაკება, ესენია საფრანგეთი და ქვეყნიერობის 5 უმთავრესი მხარე. სასახლე 1878 წ. მსოფლიო გამოფენის სახსოვარია. ახლა აქ მოთავსებულია მუზეუმი, დაბლა სართულში სკულპტურული და ისტორიული, ზევითაში ეთნოგრაფიული. სხვათა შორის, ამ განყო-

*) გამოფენისათვის გამოცემულია 3, 250,000 ჩეკი. (ჩეკის ნომინალური ფასია 20 ფრ, ახლა ფასობს 16 ფრ.) თითო ჩეკი შეიცავს 20 შესასვლელ ბილეთს. მაშასადამე სულ 63 მილიონი ბილეთია გამოცემული. იმედი აქვთ, რომ 60 მილიონი იქნება ფასიანი მნახველი. წარსული გამოფენა უნახავს 28 მილიონს, დამჯდარა 45 მილ. წრევანდელი დამჯდარია 100 მილიონზე მეტათ. აქედან 20 მილ. გამოიღო სახელმწიფომ, 20 მილ. პარიჟმა, დანარჩენი საფინანსო — საკრედიტო დაწესებულებებმა (ჩეკებით).

**) ვისაც გამოფენის ჩეკი აქვს, ის სარგებლობს ბილეთის ფასის 25%-ის დაკლებით. ზევით ნაანგარიშებია ფას დაუკლებლათ. ჩეკის ყიდვა შეიძლება ახლაც.

ფილების ერთ შუშის შკაფში დაცულია ქართული ტანისამოსები; ორიოდე ჩერქესკა, ქამარ-ხანჯალი მასრებიანათ და ფაფახი ქუდით; ქუდი გადმობრუნებული ძევს (სარჩული გარეთ, ყალამა—ბეწვი ქვეშ), დგას ორი ტიკინი; ერთი ჩერქესკაში გამოწყობილი, მეორე, ვითომ ლეჩაქსა და სარტყელ-გულისპირიან კაბაში. არის აგრეთვე ორი ქართული აკვანი. ამ შკაფს ზედ აწერია „რუსეთი“ ხოლო აკვანს კი „ქართული აკვანი“. სასახლის ცენტრალური ადგილი უჭირავს „სადღესასწაულო ზალას“. მოწყობილია ძველი, ბერძნული თეატრის გემოზე. მაყურებელთა ყველა ადგილები შეადგენენ ერთ ამფითეატრს; ზალა იტევს 5 ათასამდე ადამიანს, სცენაც 400-დეს. აქ იმართება ხოლმე კონცერტები, პოლიტიკური პარტიების მიტინგები და კონფერანსები.

თუ ტროკადეროს გამოფენაზე შევალთ ალნიშნულ სასახლიდან, იქვე მარცხენა კუთხეში დავინახავთ მრავალ-გუმბათებიან ანუ, უკეთ, სამრეკლოებიან, თეთრათ გალესილ შენობას სამრეკლოს წვერებზე გაკეთებულია რუსეთის გერბები. ეს რუსეთის პავილიონია. შენობა წარმოადგენს მოსკოვის ერთი ცნობილი ნაწილის, კრემლის, ასლს. პავილიონის მარცხენა გვერდზე ჩარიგებული აქვს რუსულ გემოზე აშენებული, სოფლური, ხის სახლები. ამათ ეწოდება „რუსული სოფელი“. აქ გამოფენილია შინა-მრეწველობის (кусг. производ.) ნიმუშები. ხის ყუთები, შკაფები, ტაბურეტკები, სკამები, სკამეიკები, ყველა ჩუქურთმით დაჭრელებული, რუსული ქვის ფეჩი, სინები, თიხის ჰურჭელი, ხის ტიკინები, ძაფით ნაკერი ქსოვილებანი, კრუჟოვები, არშიები, ფარდები, წამოსასხამი შალები, ტყავის ფეხ-საცმელი, ფაიფურის ჰურჭელი, საანგარიშო „სჩოტები“, ფრაჟეს კოვზები, დანა-ჩანგალი, ჩალის ჩემოდნები... მოთმინება იქონიეთ, აი სამხიარულო საკრავებიც „ბუზიკა-გარმონები“, გიტარები, დანეულობა, კლიტეები, სამოვრები, ქართული უნაგირები. ვწერთ იმ რიგზე, როგორც გამოფენილია. საბმელი ცხენის ხამუთები, მოსართავები, შუა გულ ვიტრინაში შევერცხლილი უბრალოთ თუ ოქროში დაფერილი ხმლები, ხანჯლები, მათრახები, დამბაჩები, ვერცხლის ქართული აკვანი; კინტოური უშველებელი ვერცხლის ქამარი თავისი ბუშტებით. ეს ყველა რასაკვირველია კავკასიურია. ვიტრინას თავზე დგას ორი ტიკინი; ერთი ჩერქესკაში, მეორე ქალურ აღმოსავლეთის ტანისამოსში (უფრო თათრულს გავს). შემდეგ ერთ ჩარდახში გამართულია სოფლური ბაზარი. აწყვია: ტყავის ქულაჯები, ხის ხოკრები, ხის ქაღამნები, პოლოსკის თელები, ტყავის წაღები, ხელთათმანები, „ზიმუნ[illegible]“, ბადეები და სხ. ერთი ოთახიც წარმოადგენს მე-17-ტე საუკუნის დამლევის რუსულ „ტერემს“. კუთხეშიც ღვთის მშობლის ხატი „ლამპარით“; დგას სამიოდე ხის ყუთი, ორი ხის დივანი; შუაში სუფრა გადაფარებული სტოლი. სტოლის აქეთ-იქითა მხარეზე ორი „ბაიარინის“ ქალია ძვირფას, ოქრო-მკერდით მოქარგულ-კაბებში. ერთი ხელ-საქმეს უზის, მეორე ფეხზე დგას. ორივეს ცოცხალი, ტიპიური რუსული სახე აქვსთ; ორივე გაშტერებული იცქირებიან. ალბათ უკვირთ მე-17-ტე საუკუნის შვილებს 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე რამ გაგვაჩინაო. „სოფლის უკანასკნელ ოთახში გამოფენილია ხატები, ჯვრები. საცეცხლურები, შანდლები; ძვირფასი ფილონები, ოლარები, პალიცები, მიტრები, კვერთხები და სხ. სამღვდელოების შესამოსლები, თუ საეკლესიო ნივთები.

პავილიონის მეორე მხარეზე ეზოში ჩარგულია პეტერბურღის საიმპერატორო ბაღის რამდენიმე იშვიათი მცენარეულობა კავკასიიდან, თურქესტანიდან, სპარსეთიდან, ჩინეთიდან და სხ.

ლ. დ.

(შემდეგი იქნება)

## ჯავახეთი და ჯავახელნი.

I

მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითა, კალმახი და ქერის პური წინ მეყარა მზესავითაო, უთქვამს ვიღასაც და უეჭველია, ამის მთქმელის უმთავრესი მიზანი ცხოვრებაში კუჭის ძღომა ყოფილა, თორემ ამასაც არ იტყოდა. ჩვენ პატარა საქართველოში ბევრია მივარდნილი, ყრუ კუთხე, მაგრამ ასეთი მივარდნილი ალაგი, როგორც ჯავახეთი, არა თუ საქართველოში, ბევრგან არსად მოიპოვება. როდესაც უცხო კუთხის ადამიანი პირველათ შემოდის ჯავახეთში, ჯერ რაღაც გამოურკვეველი გრძნობა იპყრობს მას, თფილისიდან ჯავახეთში მეორე დღეს მოხვალთ და ასე კი გგონიათ, თითქოს რამდენსამე წელიწადს გემგზავროსთ და რაღაც უცნობ მხარეში მოსულიყოთ. გამოურკვეველი გრძნობა თანდათან სევდათ იქცევა, სევდა იზრდება, ლოდივით დაგაწვებათ გულზე და მზათ ხართ, იტიროთ, რომ ცრემლებით მაინც დაიმშვიდოთ გული. როდესაც ცოტას დამშვიდდებით და მიიხედ-მოიხედავთ, საშინლათ გაოცდებით; თითქოს გუშინ საქართველოში ვიყავი და დღეს სადა ვარო, ეკითხებით თქვენ თავს; მაგრამ პასუხს არავინ გა-

ძლევსთ და ექვში შედიხართ: იქნება აღარ მახსოვს, რაიმე ძალამ მომწყვიტა დედამიწას და სხვა პლანეტაზე გადამიყვანაო. და მართლაც, ის გრძნობა, რომ თქვენ სხვა პლანეტაზე ცხოვრობთ და არა ძველ დედამიწაზე, განუშორებლათ თან დაგდევსთ, სანამ ჯავახეთს არ მოშორდებით. რასაკვირველია, ჯავახეთი მართლა სხვა პლანეტას კი არ შეადგენს,-ის ჩვენი საქართველოს ნაწილია, თფილისის გუბერნიაში იმყოფება. ბორჯომიდან სულ ორმოცი ვერსის მანძილზე არც კი არის, მაგრამ, თუ მხედველობაში მიიღებთ ხალხის ცხოვრებას, მდგომარეობას, თამამათ შეგიძლიათ თქვათ, რომ ჯავახეთი სხვა პლანეტაა, რომელზედაც ადამიანი რამოდენიმე საუკუნით გვიან გაჩენილა, ვიდრე დედამიწაზე. შენ, თფილისელო მკითხველო, ახლა მეოცე საუკუნეში ცხოვრობ, თუ „კვალის" უფრო გჯერა, მე კი ჯავახეთში მეჩვიდმეტე საუკუნეში ვცხოვრობ! ჯავახეთში ვერ ნახავთ ვერაფერს, რომ მეოცე საუკუნეს მოგაგონებდესთ,—მაგრამ ვცდები: მეჩვიდმეტე საუკუნეში ტელეგრაფი არ იყო, ჯავახეთის დედაქალაქში კი არსებობს ტელეგრაფი, თუმცა ტელეგრამას მხოლოთ ორ კვირას შემდეგ მიიღებთ! მაგრამ ტელეგრამის შესახებ შემდეგ ვილაპარაკოთ. იტყვიან ხოლმე: თავისი უხვი კალთა ქრისტეს საქართველოში დაუბერტყიაო; შეიძლება ასეც იყო, მაგრამ იმ კალთიდან რომ ჯავახეთში ერთი ნამცეციც არა გადმოვარდნილარა—ამას ჯავახელებიც კი არ უარჰყოფენ. დავიწყოთ ბუნებიდან, მაგრამ „ივერიის" უნდა მოწიწებით მოვახსენო, რომ პოეტი არა ვარ, და ამიტომ ჩემ ბუნების აღწერაში პოეზიას რომ ვერ ნახავს, ნუ მიკიჟინებს! პოეტიც რომ ვიყო, ჯავახეთის ბუნების აღწერაში ჩემ ნიჭს მაინც ვერ გამოვიჩენდი, რადგანაც ეს ბუნება ფრიად და ფრიად ღარიბია.

ჯავახეთი ძალიან მაღლობი ადგილია და გადახაზულია მაღალი გორებით, რომლებიც თითქმის მაისის გასულამდე თოვლით არიან შეხურული. საქართველოს სხვა კუთხეში ძვირათ ნახავთ ისეთი მოყვანილობის მთებს, როგორც ჯავახეთში; აქაური მთები შაქრის თავებს მოგაგონებენ, ბევრი მათგანი ძალიან წააგავს ვულკანს და ეჰვს გარეშეა, რომ წინეთ აქ რამდენიმე ვულკანი უნდა ყოფილიყო; ამას ახლანდელი მიწის ძვრაც ამტკიცებს. შვიდი-რვა თვე ჯავახეთში სრული ზამთარია; სიცივე ნამეტანი იცის. მაღალი მდებარეობისა და სასტიკი ზამთრის ბრალი უნდა იყოს, რომ ჯავახეთი მცენარეულობით ძალიან ღარიბია. ახალქალაქის მახლობლათ კიდევ მოიპოვება თითო ოროლა ხე, ზოგან ხილის ხეებიც, მაგრამ რაღაი ახალქალაქს გაცილდებით, ჩირგვსაც კი ველარსად დაინახავთ. ჯავახეთი თუ ღარიბია მცენარეულობით, სამაგიეროთ მდიდარია ქვით. ხშირათ შეხვდებით მთლად გორაკებს, რომლებიც მარტო უზარ-მაზარი ქვების გროვას წარმოადგენენ. მთებიდან ჩამორბიან პატარა მდინარეები, რომლებიც მეტათ მდიდარი არიან თევზით და განსაკუთრებით კალმახით, მაგრამ აქაური კალმახი იმერეთის კალმახს ვერ შეედრება.

ჯავახეთს რომ შორიდან გადმოხედოთ, ასე გეგონებათ: აქ ოდესღაც მცხოვრებლები ყოფილან, ახლა კი ან წასულან სადმე, ან გადაშენებულან და მათი არსებობის მოწამე სოფლების ნანგრევებიაო; რომ მოუახლოვდებით ამ ნანგრევებს, დარწმუნდებით, რომ ნანგრევები კი არა, ნამდვილი სოფლებია, რომლებშიაც ხალხი ცხოვრობს. ჯავახეთში სოფლების გეგმა ისეთივეა, როგორც ქართლში; ყოველი სოფელი ერთ ალაგას არის შეჯგუფული სახლი სახლს აკრავს, ასე რომ ის შვენიერი ეზოები, რომლებიც იმერეთის მოსახლეს აშვენებს, ჯავახეთში არსად არ მოიპოება.

ბუნებას რომ დიდი გავლენა აქვს ადამიანის ცხოვრებაზე, ამას საუცხოვოთ ამტკიცებს ჯავახეთი; რადგანაც აქ ტყე არ მოიპოება, ქვა კი ბევრია, ამიტომ აქაური სახლები სულ სიპი ქვის არის. აქ კირი ეშორებათ, ამიტომ კედლების ასაშენებლათ მარტო ტალახს ხმარობენ; ტალახით აშენებულ სახლს კი ძალიან საეჭვო სიმტკიცე აქვს; ამის მიზეზია, რომ მიწის ძვრამ ჯავახეთში ასეთი უბედურება დაატრიალა. სახლებს ბანი პტყელი აქვს, ჰორიზონტალური, სახურავი შედგება მიწისაგან; თუმცა მიწას სქლათ აყრიან, მაგრამ წყალს მაინც ვერ იჭერს, ამიტომ წვიმა ყოველთვის ჩამოატანს ხოლმე შიგ და გაზაფხულზე, როდესაც აქ წვიმა გახშირდება ხოლმე, ხშირათ იძულებული ხართ, ოთახში ქოლგით იაროთ. სახლის ნახევარი მიწაშია, ნახევარი ზევით; ამიტომ აქაური სახლები ძალიან დაბალი მოჩანან, თუმცა უფრო მაღლები არიან, ვიდრე იმერელი გლეხის საჯალაბო. აქ სხვა და სხვა გვარ ტომების ხალხი ცხოვრობს, მაგრამ სოფლები და სახლები ყველგან ერთნაირია.

შევიდეთ აქაური გლეხის სახლში: კარებს რომ შეაღებთ და ფეხს გადადგამთ, პატარა ხანს ვერაფერს ვერ გაარჩევთ სიბნელის გამო; შემდეგ რაკი თვალი ცოტათი მიეჩვევა ასეთ სიბნელეს, ცოტათი გაარჩევთ კედლებს, მაგრამ თუ გზა განაგრძეთ, თვალებს ხელები უნდა მიახმაროთ და აქეთ იქით აფოთაროთ, თორემ ან ფეხს წამოკრავთ რასმე და ყირამალა გადახვალთ, ან შუბლით დაეჯახებით კედელს. პირველ კარებს რომ შეაღებთ ან პატარა ოთახი დაგიხვდებათ, რომელშიაც არავინ არა ცხოვრობს, ან ვიწრო კარიდორი. ამ კარიდორს რომ გაივლით, დაგიხვდებათ მეორე კარები. შეაღებთ თუ არა კარებს, ცხვირში გეცემათ საშინელი ნეხვის სუნი და მხოლოთ ამით მიხვდებით, რომ ბოსელში შეხვედით, რადგანაც თვალით ვერაფერს ვერა ჰხედავთ. ჯავახეთში საქონელი ძალიან უყვართ; თითქმის ყველასა ჰყავს რამდენიმე ულე-

ლი ხარ-კამბეჩი, ცხენები, ძროხები, ცხვრები და ამიტომაც ბოსელი კარგა მოზრდილია. ბოსლის ერთი კუთხე ფიცრით არის შემოზღუდული და ეს წარმოადგენს ვიწრო და პატარა ოთახს, რომელშიაც სახლის პატრონები ცხოვრობენ. ოთახს სამი კედელი აქვს: ორი კედელი საერთო აქვს ბოსელთან, ბოსლის კედლების ნაწილს შეადგენენ და ქვისა არიან, მესამე კედელი ფიცრისა არის და შიგ ბოსელშია, მეოთხე კედლის კი მხოლოთ ნახევარია და ამ გვარათ ბოსლის ჰაერი და ოთახის ჰაერი ერთი და იგივეა. ოთახის ორივე მხარეზე თითო თითო განიერი ტახტია. ტახტსა და ტახტს შუა იმდენი ალაგი რჩება, რომ მხოლოთ ერთი ადამიანი გაივლის. ამ გასავლის ერთ თავში ბუხარია, რომელშიაც წივა გდია და იწვის ნელა ნელა. თუ მოსახლე მდიდარია, ტახტებს მაღლა იწყება მეორე წყება ტახტებისა. ოთახს მაღლა ხის ფიტონი აქვს დატანებული გარშემო და ზედ დალაგებულია ცალიერი ბოთლები, შუშები და საინები. ოთახის ერთ კუთხეში მაღლა პატარა რგვალი სარკმელია დატანებული, რომელშიაც ადამიანის მუჭი ძლივს გაეტევა და სინათლე მხოლოთ აქედან შემოდის. ამ გვარათ ჯავახელს სინათლე საშინლათ ეჯავრება, ის სიბნელის მოტრფიალეა, უმეტეს დროს მუდოსავით სიბნელეში ატარებს და ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ მის სახლში სინათლემ არსიდან შეატანოს. ადამიანის ჯანმრთელობისათვის სინათლეს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ტანის ქსოვილების საზრდოობისა და მოქმედებისათვის მზის შუქი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს; რადგანაც ჯავახელი მზის შუქს ერიდება, ამიტომ თავსაც ხშირათ ისნეულებს. სნეულებანი კანის, თვალის, სისხლ ნაკლებობა აქ ხშირია... დიდები თუ სახლში სინათლეს არიან მოკლებული, სულ ხომ სახლში არა სხედან და ამიტომ სახლში სინათლის ნაკლებობას გარეთ შეივსებენ ხოლმე. პატარა ბავშები კი სანამ ფეხს აიდგამდენ, ხშირათ ხდებიან ასეთი არა ჰიგიენური ცხოვრების მსხვერპლათ. აქ ხშირათ შეხვდებით წლიწად ნახევრის ბავშს, რომელსაც ფეხი ჯერ არ აუდგამს. ძუძუს ბავშები უმეტეს წილათ დამპლევებული, გამხმრები, ჩამოყვითლებული და დიდ მუცლიანები არიან, ექვსი-შვიდი წლის ბავშები კი თითქმის ყველა ჯანმრთელია, რადგანაც ამ წლოვანებამდე მხოლოთ მცირეოდენი რჩეულნი მოატანენ ხოლმე.

რადგანაც ადამიანი და საქონელი აქ ერთათ ცხოვრობს, ადამიანის საცხოვრებელი ოთახი ბოსლის ნაწილს შეადგენს, საქონელი კი აქ ძალიან ბევრი იციან,—ამიტომ ბოსელში საშინელი სუნი ტრიალებს. ზამთარში კიდევ შეგიძლიათ რამდენიმე წამი გაუძლოთ ამ სუნს, მაგრამ ზაფხულში ისეთი სიმყრალე ტრიალებს ბოსელსა და ოთახში, რომ შეუძლებელია გული არ აგერიოთ. ჯავახელს არა თუ გული არ ერევა, კიდეც მოწონს ეს სუნი; უმისოთ გაძლება არ შეუძლია და, როდესაც საქონლის ფუნეს გვერდით უზის და ყნოსავს, სრული კმაყოფილია თავისი ხვედრით. ბუდდამ [illegible] ზეზე წამოაყენა და ჯავახეთში მოიყვანა, ჯავახელს გადაჰკოცნიდა და ეტყოდა: ბარაქალა, ჯავახელო, ჩემი სიტყვები შენ გიქცევია საქმეთო. ბუდდა თუ სიყვარულსა და სიბრალულს ჰქადაგებდა პირუტყვისადმი, ჯავახელმა არა თუ შეიყვარა ის, ტოლათ გაიხადა, შეისახლიკაცა: მასთან ცხოვრობს, მასთან ძინავს; მას უშველებელი ბოსელი დაუთმო და თვითონ კი ამ ბოსლის ერთ კუნჭულში მიიკრუნჩხა! რამ შეაყვარა ასე ჯავახელს პირუტყვი? სიცივემ და შეშის უქონლობამ. ზამთარი აქ ძალიან გძელი იცის და სასტიკი, შეშა არსად არის; ამიტომ ჯავახელი შეშის მაგიერათ ამზადებს წივას და იმას ხმარობს, მაგრამ იმდენ წივას სად იშოვის, რომ მთელი ზამთარი ეყოს გასათბობათ და მთელი წელიწადი პურის საცხობათ და საჭმლის საკეთებლათ! ამიტომ ის იძულებულია, საქონელს შეუსახლიკაცდეს და მისი სითბოთი ზამთარში თავი გაიტანოს. სიბნელესა და სიმყრალეს გარდა ჯავახელის სახლში დაგიხვდებათ მესამე დოვლათი: საშინელი სიბინძურე, უსუფთაობა. როდესაც ადამიანი საქონელთან ერთათ ცხოვრობს, სახლის სუფთათ შენახვა შეუძლებელია, მაგრამ ჯავახელი ჭუჭყსა და ნაგავს ოქროსავით უფრთხილდება და სახლს არ მოაცილებს, თითქოს ეშინია: დოვლათი თან არ გაჰყვესო.

თუ ჯავახელის სახლი ბინძურია, ჯავახეთის სოფელი ხომ სიბინძურის კულტია. ჯავახეთის სოფელი ერთ დიდ სანეხველას წარმოადგენს. აქაურ სოფელში რომ შეხვალთ, გული შეგეზიზღებათ. ნუ თუ აქ ცხოვრობს ხალხი, ღვთის სახისა და ხატების მატარებელიო, ეკითხებით თქვენ თავს გაოცებული და თან გულ-დაღონებული; გაოცებული იმიტომ, რომ ვერსად მგონი ამის მზგავსს ვერას ნახავთ, გულდაღონებული კი იმიტომ, რომ ადამიანის ამდენათ დაბეჩავება და დაგლახაკება ვის არ დაალონებს! ყოველი სახლი გარედან უფრო საღორეს მოგაგონებთ, ვიდრე სახლს. იმერეთში ბევრგან მინახავს საღორე გაცილებით უფრო ლამაზი და სუფთა ვიდრე აქაური სახლებია. ყოველ სახლს გარშემო გაშლილი აქვს ნეხვი, ასე რომ ჯავახელმა ჯერ ფეხი უნდა გაისვაროს და მერე სახლში შევიდეს. გაშლილი ნეხვი მზეზე შრება და შემდეგ პატარ-პატარა ნაჭრებათ ჭრიან, რასაც წივა ეწოდება. წივას აქ შეშის მაგიერათ ხმარობენ.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

## ბეჭდვითი სიტყვის მოყვარულთადმი

მომავალ ივნისის 11 რიცხვს მთელი განათლებული ქვეყანა იდღესასწაულებს ერთ უდიდეს და უნაყოფიერეს აღმოჩენის დაბადების დღეს. ესაა დღე ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაულობისა და მიზეზი კი ამისა ქალაქ მაინცის სახელოვანი მოქალაქე, მრავალ ტანჯული იოჰანე გუტენბერგი.

გუტენბერგი გახდა მამათ-მთავარი იმ კულტურული აღმოჩენისა, რომლის შემწეობითაც სხვა და სხვა ალაგას მყოფ ადამიანთა ნაფიქრალი, ნალაპარაკები და შემდეგ ნაწერი დღეს ასეთი სისწრაფით ეფინება მთელ ქვეყნიერებას და რჩება შთამოების განძათ. მის უდიდეს მნიშვნელობას დღეს წერა-კითხვის ყოველი უცოდინარიც კი გრძნობს და განათლებულმა ხალხმა ხომ კაი ხანია მას გემო გაუგო და კაცობრიობის წინმსვლელობის სასარგებლოთ გამოიყენა.

აღმოჩენის 500 წლის თავს დღესასწაულობენ განათლებულნი ერნი და მით იგონებენ გუტენბერგის სახელს და ამკვიდრებენ ბეჭდვითი სიტყვით ერთა შორის შექმნილ კავშირს. ეჭვი არ არის მონაწილეობა ამ გვარ საქმეში ყოველი გამოფხიზლებული ერის მოვალეობას შეადგენს და მეც ჩემი პატარა შენიშვნით ამგვარ დღესასწაულის მოახლოვებას მოვაგონებ ჩვენებურ ბეჭდვითი [illegible]ტყვის მოყვარულთ...

ჩემი აზრი არის ორიოდე პრაქტიკულ წინადადებაზე მივუთითო ბეჭდვითი სიტყვის მოყვარულთ, რომელ-[illegible]კუთვნიან: ლიტერატორები ყოველგვარი დარგისა, ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გამომცემელნი და გამყიდველნი, მესტამბეები, ასოთ-ამწყობნი, ასოთ-ჩამომსხმელნი, ლიტოგრაფები, ფოტოგრაფები, ცინკოგრაფები, გრავიორები, მანქანის და სადებავების მკეთებელნი, ქაღალდის მწარმოებელნი, მეყდეები და მხატვრები. დღესასწაულობის მეთაურობას რუსე[illegible]ვირთულობს პეტერბურღის ახალი საზოგადოება, რომელ[illegible]საც ეწოდება „Русское общество дѣятелей печатнаго дѣла". ის აგერ თვე ნახევარია მუშაობს და, როგორც უხვი შემოწირულებიდან და საპროგრამო მზადებიდან ჩანს, დღესასწაული კარგათ ჩაივლის. სადღესასწაულო პროგრამა შედგება სამი ნაწილისაგან. 1, ლექცია გუტენბერგის ცხოვრებაზე და მისი გამოგონების მნიშვნელობაზე წიგნის ბეჭდვისათვის; ამ სალიტერატურო ნაწილშივე წაიკითხვენ ამ დღისათვის შესაფერ ლექსებს (ნათარგმნს ფრანგულსა და ნემეცურიდან), რუსული მწერლების ნაწერებიდან შესაფერ ადგილებს და იმღერებენ ჰიმნს გუტენბერგის შესახებ. 2, მიღება დეპუტაციებისა სხვა და სხვა ადგილებიდან და საზოგადოებათაგან, წაკითხვა მისალოცი წერილებისა და ტელეგრამებისა. 3, მოკლე მიმოხილვა ამ დღის დღესასწაულობისა საზღვარ-გარეთ.

ასე ამნაირათ აღნიშნული საზოგადოება, როგორც გამომხატველი მთელი რუსეთის მოდღესასწაულეთა სურვილებისა, გაგზავნის მაინცში (სადაც არის მთავარი კომიტეტი საგუტენბერგო დღესასწაულისათვის) ანგარიშს აქაურ დღესასწაულისას. მეც თავმჯდომარესთან მოლაპარაკების შემდეგ საჭიროთ ვცანი ვაცნობო ადგილობრივ გაზეთებს ამ მომავალი დღის დღესასწაული, რათა კავკასიური ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებმაც შეიტანონ თავისი წვლილი ამ დღესასწაულში.

ეს წვლილი კი ამგვარათ შეიძლება გამოიხატოს 1, ამ დღისთვის რედაქციებმა, მათმა თანამშრომლებმა, მესტამბეებმა, ასოთ-ამწყობებმა და სხ. (ვისაც სურს ცალკე და ვისაც სურს ერთათ), უნდა გამოუგზავნონ ამ საზოგადოებას თავმჯდომარის (ვლადიმერ ვასილისძე საბინინის—Б. Морская—20, 4) სახელზე მისალოცი ტელეგრამები, რომ პეტერბურღელთა დღესასწაულს ჩვენც ვუერთდებითო. ვისაც სურს — ეს წერილითაც შეუძლია გამოხატოს.

2, მეორე — მისალოცი ტელეგრამა ან ბარათი უნდა გაეგზავნოს მაინცში ქალაქის თავს გასნერს ამ ადრესით: Mainz Obepbürgermaister—Dr. Gassener

11 ივნისის პეტერბურღის მესტამბეების და ასოთ-ამწყობებისათვის „საზოგადოება" ამზადებს გუტენბერგის სურათებს და 15,000 ცალს წიგნაკს. აქედან თავმჯდომარე დამპირდა რამდენიმე ასი ცალის გადმოცემას კავკასიის [illegible]ში ბეჭდვითი სიტყვის მოყვარულთათვის დასარ[illegible]ბლათ, თუ კი „საზოგადოება" ჩვენი ქვეყნიდან იმდენ შეწირულებას მიიღებს, რომ გამოგზავნის ხარჯსა მაინც იგმაროს. სურათები და წიგნაკები გამოიგზა[illegible]ბა ოთხ უმთავრეს ქალაქებში: თფილისსა, ქუთაის[illegible]მისა და ბაქოში რედაქციების და წიგნის მაღაზიების სახელზე.

პეტერბურღი. ის. კვიცარიძე

## შეცდომის გასწორება

,,კვალის'' უკანასკნელ ნომერში პირველ გვერდზე წერია: ,,კვალის'' ეს ნომერი ვერ გამოდის ისე, როგორც უნდა გამოსულიყო.'', უნდა იყოს: ,,აწყობილი ასოების დაბნევის მიზეზით, ,,კვალის'' ეს ნომერი ვერ გამოდის ისე, როგორც უნდა გამოსულიყო''.

,,კვალის'' უკანასკნელ ნომრის პირველ გვერდზე ნათქვამია: ,,პირველი მანიფესტი გამოსცა **1896** წ. დეკემბერში'' უნდა იყოს: **1895** წ. დეკემბერში''. ნათქვამია: ,,რომელიც მრავლდება ეკონომიურათ'' უნდა იყოს: ,,რომელიც მძლავრდება ეკონომიურათ''.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тиф., 20 Мая 1900 г. სტამბა ე. ი. ხელაძისა. Тип. Е. И. Хеладзе Л.-Мелик. ул., № 28